ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 აპრილი 2008 №091 (3315)

ფასი 50 თეთრი

## ვინ დათვლის შოთას ვარსკვლავებს

## თბილისი მეგობრობის ქალაქია

## გვარდიოლა და რაული ერთ გუნდში ითამაშებენ



## არველაძე არჩევანის წინაშე: ნაკრები თუ...





## ის ბოლო წამი, ვისთვის შვება, ვისთვის წამება






## ვილაპარაკოთ მსაჯებზე

## ამოწიეთ თავი პრობლემების ქვიშიდან

# რაული, გვარდიოლა, კუმანი... 3 ივნისი ივსება

## შოთა არველაძე: შენოლ გიუნეშს ნაკრებზე არ დავკავშირებივარ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, შოთა არველაძე აქამდე, როგორც ფეხბურთელი, შეუფასებელ სარგებელს აძლევდა ნაკრებს, ახლა კი სხვა როლში გვინდა დაეხმაროს ეროვნულ გუნდსო. სავარაუდოდ, ასეც იქნება — შოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გახდება.



ტყუპისცალს გუშინ ვალენსიაში დავუკავშირდით და ჯერ ესპანეთის პრიმერადივიზიონის წინა ტურზე ვკითხეთ...

— „ხეტაფესთან" რატომ არ ითამაშე?

— ერთი კვირა საზარდული მტკიოდა, ვერ ვივარჯიშებდი სრული დატვირთვით. ახლა უკვე ვვარჯიშობ, ნორმალურად ვარ და ალბათ, კვირას „უელვასთან" ვითამაშებ კიდეც.

— „ხეტაფეს" მთავარ მწვრთნელ, დანიელ მიქაელ ლაუდრუპს, ალბათ, შეხვდებოდი და 3 ივნისს შენს გასაცილებელ მატჩზე ჩამოსვლასთან დაკავშირებითაც ჰკითხავდი...

— კი, ველაპარაკე. ჩამოსვლა დამპირდა და არა მგონია, რამემ შეუშალოს ხელი.

— ამას წინათ უცხოელი ვარსკვლავების სათბილისო სია გაგვაცანი. ხომ არავინ გამოჰკლებია, ან შემატებია?

— გამოკლებით, არავინ. ისე კი, რაულის და ხოსეპ გვარდიოლას ჩამოყვანა მინდა. არა მგონია, ლუის არაგონესმა რაული მომავალ ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანოს, ამიტომაც 3 ივნისს, წესით, უნდა ეცალოს. გვარდიოლასთან კი რონალდ და ფრანკ დე ბურები მეგობრობენ, შარშან ოთხივემ ერთად ვითამაშეთ კიდეც. და კიდევ, რონალდ კუმანიც მყავს სიაში, თუმცა ამდენი მწვრთნელი, რა ვიცი, ბევრი ხომ არ არის...

— კუმანი უკვე გაუშვეს „ვალენსიადან" და დროც საკმაო უნდა ჰქონდეს...

— ვიცი და მაგიტომაც დავუკავშირდი აგენტ ბაირამ თუთუმლუს მეშვეობით.

— და რატომ მაინცდამაინც მწვრთნელად: რონალდ კუმანი ვერ ითამაშებს?

— ეგეც შეიძლება. კაცმა რომ თქვას, რატომ ვერ ითამაშებს, თავისი საფირმო დარტყმა ისევ ექნება და...

— რაულის თბილისში ჩამოსვლა და თამაში კი ფანტასტიკური იქნება. მისგან პასუხი ჯერ არ მიგიღია?

— ჯერ არა, მაგრამ ვეცდები, დავიყოლიო.

— ახლა საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალი მწვრთნელის თაობაზეც ვთქვათ... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, შოთა არველაძის აქტიურად ჩართვა გვსურს მწვრთნელთა მუშაობაშიო და კერძოდ, რა შემოგთავაზა?

— ერთ-ერთი ასისტენტობა. თანახმა კი ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, სხვა შემოთავაზებებიც მაქვს და ახლა არჩევანის წინაშე ვდგავარ.

— რა შემოთავაზებები? ვერ დააკონკრეტებ?

— ჯერ ვერა.

— ახალკაცმა ისიც თქვა, ერთ-ერთ ვარიანტად თურქ სპეციალისტ შენოლ გიუნეშს განვიხილავთო. გიუნეშს კარგად იცნობ „ტრაბზონსპორიდან"...

— გიუნეში საქართველოს ნაკრებში?! პირველად მესმის. მას ნაკრების მწვრთნელობაზე არ დავლაპარაკებივარ, 3 ივნისის თამაშზე ჩამოსვლა ვთხოვე და ალბათ, ჩამოვა კიდეც. გიუნეში ამჟამად კორეის ერთ-ერთ კლუბში მუშაობს, წელიწადში 5-6 მილიონს აძლევენ.

— და იმ მწვრთნელთა გვარებს ვერ გვეტყვი, ვისაც ჩვენი ნაკრების მწვრთნელობაზე დაუკავშირდი? ცხადია, ლუის ვან გაალის გარდა...

— ამ მწვრთნელებს რომ არ ეთქვათ ჩემთვის, არ გაახმაუროო, სიამოვნებით გეტყოდით. ერთი კია, ძნელია, ასეთ პერიოდში კვალიფიციური მწვრთნელის უცბად დანიშვნა — ვშიშობ, მაისის ბოლოს დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებამდე ვერც მოვასწროთ ამ საკითხის მოგვარება.

**ილია ნანობაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალაძის „ჯანინო" მილანის ოფისია

## რონალდინიომ პირველად აქ უნდა ივახშმოს

**მილანური** რესტორანი „ჯანინო", რომლის თანამფლობელიც საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეა, ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე მოდურად და პოპულარულად ითვლება. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში...

„ჯანინოს" ეფექტმა „მილანის" თითქმის ყველა ვარსკვლავი, სხვა გუნდების გამოჩენილი ფეხბურთელები და ცნობილი პოლიტიკოსებიც მიიზიდა — მათ შორის, სილვიო ბერლუსკონიც. სწორედ კალაძის რესტორანში ჰქონდათ თავიანთი მილანური ვახშმის „ნათლობა" რონალდოსა და პატოს.

ბოლო დროს „ჯანინოში" ხედავენ რონალდინიოს ძმას, მისივე აგენტ რონალდო დე ასისს. რესტორანი რონალდინიოს მასპინძლობას იმავე დღეს აპირებს, როცა ბრაზილიელი მილანში ჩავა კონტრაქტის გასაფორმებლად.

ამბობენ, ეს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია.

„ჯანინო" გვიან ღამემდე გახსნილია და მას „მილანის" საგარეო ოფისსაც კი უწოდებენ.

**ილია ნანობაშვილი**

# ოლსენი დანიიდან მიდის

## რას იტყვის საქართველო?



**საინტერესო** ცნობა სკანდინავიიდან: მორტენ ოლსენი დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს, სავარაუდოდ, ივნისში, კონტრაქტის ამოწურვისთანავე დატოვებს, რაკი ახალი კონტრაქტის გაფორმებას პირი არ უჩანს.

ჩვენთვის ეს საინტერესო ამბავია, რადგან საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა შორის ოლსენიც ნახსენები იყო.

ერთი სიტყვით, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოლსენს კვლავაც სასურველ ვარიანტად მიიჩნევს, მასთან მოლაპარაკება ახლა უფრო იოლი იქნება.

**კახა შალამბერიძე**

# მწარე სიტყვის ფასი

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა იმ დანაშაულებებზე, რომლებიც 21-ე და 22-ე ტურებში მოხდა.

2008 წლის 13 აპრილს „დინამო" — „ამერის" მატჩის შესვენებისას დინამოელთა მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე მსაჯთა გასახდელში შევიდა და მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც იგი 300 ლარით, კლუბი კი 500 ლარით დაჯარიმდა.

2008 წლის 18 აპრილს „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" მატჩის დროს და დამთავრების შემდეგ კი იგივე ბუბა ტყავაძე მსაჯებსა და დამკვირვებლებს აგინებდა — ჩავიდა მოედანზე, ცდილობდა შეეღწია მსაჯთა ოთახში... ამ ყველაფრისთვის იგი 300 ლარით, კლუბი კი 1000 ლარით დაჯარიმდა.

მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 300 ლარით დაჯარიმდა და ორ მატჩს გამოტოვებს გორის „დილას" ფეხბურთელი ჯაბა ბერიანიძე, ვიტჯორჯიელი ალექსანდრე კვახაძე კი წითელი ბარათის გამო გამოტოვებს ერთ მატჩს, ხოლო პროფლიგის ხაზინას ოდენ 50 ლარით შეავსებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


ბუბა ტყავაძე

# საკვირველია

## რუსებმა კვირკველია და სალუქვაძე გააერთიანეს

**ჯერ** კიდევ ორი ტურის წინ რუსები ლაშა სალუქვაძეს ცენტრალურ მცველად მიიჩნევდნენ და პრემიერლიგაში ამ პოზიციის ფეხბურთელების საუკეთესო ხუთეულშიც შედიოდა. იგი ხუთეულში ახლაც არის, ოღონდ მარცხენა მცველების ნომინაციაში.

და რა არის ამაში გასაკვირი? ის, რომ ამავე ნომინაციაშია სალუქვაძის თანაგუნდელი დავით კვირკველია. კვირკველიას ყველა, 6 მატჩი აქვს ჩატარებული, სალუქვაძეს კი 4.

საკვირველია, როგორ თამაშობს ერთი გუნდის ორი ფეხბურთელი ერთდროულად ერთ პოზიციაზე.

მარცხენა მცველების ნომინაციაში კი 5,88 ქულით ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა) და მალიკ ფატი (სპარტაკი) ლიდერობენ. სალუქვაძესთან და კვირკველიასთან ერთად 5,83 ქულა აქვს ზენიტელ რადეკ შირლსაც.

კვირკველია თავისი პოზიციის გარდა სეზონის ახალწვეულის ნომინაციაშიც ფიგურირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ვილაპარაკოთ მსაჯებზე

## ამოწიეთ თავი პრობლემების ქვიშიდან

**საქართველოს** ჩემპიონატის 22-ე ტურის შემდეგ ისევ სალაპარაკო გახდა მსაჯობის თემა. ზოგადად ასეც არის ხოლმე, ეს საკითხი პერიოდულად აქტუალური ხდება, მერე კი, თითქოს ყველაფერი აწყობილიაო, მიჩუმათდება და მსაჯობის პრობლემაზე კაციშვილი აღარაფერს ამბობს. არადა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ იგრძნობა, რომ თემიდელთაგან ქართულ ფეხბურთს დიდი ჩრდილი ადგება და თუ რამ მისახედ-გამოსასწორებელია, ერთი მათგანი მსაჯობის ხარისხიცაა.

...ფეხბურთი რომ მოიგონეს, მსაჯობაზე კამათიც იმ დღიდან დაიწყო და ვიდრე ფეხბურთი იქნება, ვეჭვობთ, ამ საქმით ვინმე კმაყოფილი დარჩეს. მსაჯი ცდება ყველგან — ინგლისურ პრემიერლიგაში თუ სერია A-ში, ესპანურ პრიმერაში, გერმანულ ბუნდესლიგაში თუ არგენტინულ აპერტურა-კლაუსურაში, ცდებიან აფრიკაშიც და ყველგან, სადაც კი ბურთი დაგორავს. ცხადია, შეცდომები არის ჩვენთანაც და რადგან ქართული ჩვენთან ყველაზე ახლოსაა, სხვებზე ხშირად ვაწყდებით პროლემებს არბიტრთა საქმიანობაში.

ამას წინათ ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა თქვა, ქართულ ფეხბურთში ორმაგი სტანდარტებიაო, მსაჯი თუ ფეხბურთელს მაყურებლის შეურაცხყოფისთვის აძევებს, მაყურებელიც უნდა დაისაჯოსო. პრობლემაა ესეც, როცა მწვრთნელმა არ იცის, რომ მსაჯს მაყურებელთან საქმე არ აქვს, მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რაც იმ მატჩიდან ერთ კვირაში მოხდა და მართლაც ორმაგი სტანდარტის კლასიკური ნიმუში იყო. სათადარიგო მსაჯმა, რომელმაც არბიტრს ფეხბურთელი მაყურებლის შეურაცხყოფისთვის გააძევებინა და სწორადაც მოიქცა, უკვე თავისი არბიტრობისას ანალოგიურ ვითარებაში სხვა გუნდის ფეხბურთელი არ გააძევა. მოხდება ასეთი ფაქტი და, მერე ეჭვებიც თავისთავად ჩნდება, ზოგიერთი გუნდი მსაჯების სიმპათიით სარგებლობსო. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი შემთხვევებისას, ეს ეჭვებიც საფუძვლიანი ჩანს.

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა არბიტრმა პირდაპირ მოედნიდან შეაგინა მაყურებელს. დასაძრახი საქმეა, თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ, რომლის მფარველობის ქვეშ არის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება, ის მსაჯი სულ ერთი მატჩით დასაჯა, ასე ვთქვათ, მას ხელი დააფარა და ამით ერთგვარი პრეცედენტი შექმნა იმისა, რომ მსაჯმა რაც უნდა აკეთოს, შესაბამის პასუხს არავინ მოსთხოვს.

მსაჯი თამაშისას ნებით თუ უნებლიეთაც შეცდება და ესეც რეაგირების გარეშე რჩება. ფირს ვნახავთო, არის სტანდარტული პასუხი ფედერაციიდან, ფირის ნახვის შემდეგ კი, არაფერი მომხდარაო... მოკლედ, რაღაც დაუსჯელობის სინდრომის მაგვარი იკვეთება და თუ ასევე გაგრძელდა, კარგს არაფერს ველოდოთ.

ადრე ხშირად ისმოდა, მსაჯები დაუცველები არიან და მატჩიდან შინ ცოცხლები თუ დაბრუნდებიან, საკითხავიაო. კეთილი და პატიოსანი, ადრე მართლაც ხშირად ყოფილა, მსაჯი გავეშებულ ბრბოს იღბლად რომ დასხლტომია, მაგრამ ახლა?.. ახლა უკვე მეორე უკიდურესობასთან გვაქვს საქმე — მსაჯები ფეხბურთის ფედერაციის ლმობიერებით არიან განებივრებულნი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რაც უნდა მოიმოქმედონ, მათთვის საყვედურის მთქმელი არავინ არის. სამაგიეროდ, საყვედურები და პრეტენზიები, იცოცხლეთ, კლუბების ხელმძღვანელთა და ფეხბურთელთა მხრიდან ისმის, მაგრამ განმკითხავი არც აქ ჩანს... ისე, კარგი იქნება, კლუბთა ხელმძღვანელები მსაჯობაზე, ცხადია, როცა საბაბი აქვთ, კიდევ მეტს და ხმამაღლა ილაპარაკებენ. თუმცა ზოგი ამას ერიდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კონკრეტულმა მსაჯმა მათი სიტყვები გულში არ ჩაიდოს და... არის კიდევ მსაჯთა სოლიდარობის ამბავიც და ზოგ-ზოგი ამასაც ითვალისწინებს. ამ ყველაფერს კი ისევ ფედერაციასთან და შესაბამის განყოფილებამდე მივყავართ, მსაჯი იქნებ გამიზნულად შეცდეს, მაგრამ ისიც იცის, რომ „იქ“ პასუხს არ მოკითხავენ, კლუბების უფროსებიც თავს აღარ იტკიებენ და დინებას მიჰყვებიან.

ბავშვთა ფეხბურთში აუტანელი ვითარებააო, ინფრასტრუქტურა არვარგაო, ეროვნულ გუნდს უცხოელი მწვრთნელი რაში სჭირდებაო... ლაპარაკობენ ათას პრობლემაზე და, ცხადია, ეს პრობლემები ჩვენც გულთან მიგვაქვს, მაგრამ როცა ამ საჭირბოროტო საქმეებზეა ლაპარაკი, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლებად ისმის მსაჯობის იმ აუტანელ ხარისხზე, რაც ჩვენს ჩემპიონატსა და ზოგადად ფეხბურთს მნიშვნელოვნად აკნინებს.

მოდით, უფრო მეტი ვისაუბროთ მსაჯებზე, მსაჯობაზე, მაგრამ ცუდია ისიც, რომ არ გვაქვს საშუალება, ვისაუბროთ თავად მსაჯებთან და მათ უსტაბაშებთან. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ერთი მორიგი სამსაჯო სკანდალის მერე საგაზეთო სიტყვა აუკრძალა ყველას, ვისაც კი მსაჯობასთან რაიმე კავშირი აქვს. ჩვენი აზრით, ფედერაციამ თემიდელებს პირში წყალი ჩაუგუბა და გართულებებს მოერიდა, რადგანაც რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა, როცა მსაჯი ალთას ლაპარაკობდა, დამკვირვებელი — ბალთას, კონკრეტული სათამაშო ეპიზოდის შეფასებისას კი საზოგადო აზრი აბსოლუტურად სხვანაირი ყოფილა.

ჰოდა, ნუ მოერიდებით პრობლემებზე ლაპარაკს, ნუ გადაუსვამთ მსაჯებს თავზე ხელს და ნუ დაემსგავსებით იმ ყბადაღებულ და საწყალ სირაქლემას, რომელიც ყველას პირზე აკერია...

ვილაპარაკოთ მსაჯების კვალიფიკაციაზეც...

**ძობა ინასარიძე**

---

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. II წრე. 23 ტური

თბილისი. 23 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — მესხეთი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, მ. ელიკაშვილი, ვ. გუმბერიძე

## რაგბით გადმოდებული დინამო — მესხეთი

## რას იზამს უჭრინი უმერებაშვილოდ?

**ოთხი** ტურიც და, საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი დასრულდება.

„დინამო“ — „მესხეთის“ მატჩი 26 აპრილს უნდა გამართულიყო, მაგრამ, ვინაიდან ამ დღეს „ეროვნულზე“ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ესპანელებს დაუხვდება, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მატჩი სადღეისოდ გადმოიტანა.

დინამოელებმა წინა ტურში მცხეთაში დიდი ბრძოლა გააჩაღეს უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან“. შეხვედრამ უგოლოდ კი ჩაიარა, მაგრამ ვიტელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ და ლუკა რაზმაძემ პენალტიც ვერ გამოიყენა.

„დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე კი მსაჯობით დარჩა უკმაყოფილო და მათ დასჯას ითხოვდა, თუმც გუშინ თავად დაისაჯა...

პირველ წრეში ახალციხეში ისე მოიგეს (2:0) დინამოელებმა, ოფლიც არ გამოსვლიათ. მაშინ „მესხეთის“ მეკარე გიორგი სომხიშვილმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და მსაჯს წითელი ბარათიც დასტყუა.

ჩემპიონობასთან ერთ ნაბიჯში მყოფი თბილისელები ალბათ არც ამჯერად დაუტოვებენ შანსს უმაღლესი ლიგის დებიუტანტებს, თუმცა, რა იცი, ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**ნუცრი ლოლაძე**

**დისკვალიფიცირებულნი:**
გურამ კაშია (დინამო), შოთა კაშია (დინამო), გიორგი მერებაშვილი (დინამო), გიორგი ნადირაშვილი (მესხეთი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 19 | 1 | 2 | 53:12 | 58 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 17 | 3 | 2 | 40:10 | 54 |
| ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51:12 | 54 |
| ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 41:24 | 41 |
| ოლიმპი | 22 | 12 | 4 | 6 | 21:15 | 40 |
| მესხეთი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:23 | 32 |
| ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25:27 | 28 |
| მგლები | 22 | 8 | 3 | 11 | 21:24 | 27 |
| სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 23:30 | 26 |
| ლოკომოტივი | 22 | 5 | 5 | 12 | 15:26 | 20 |
| სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8:23 | 18 |
| მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12:45 | 16 |
| ბათუმი | 22 | 4 | 3 | 15 | 13:41 | 15 |
| დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8:44 | 8 |

**25 აპრილი, პარასკევი**

ბათუმი – ვიტ ჯორჯია

სიონი – ოლიმპი

ამერი – მგლები

**26 აპრილი, შაბათი**

ბორჯომი – დილა

მერანი – ლოკომოტივი

სპარტაკი – ზესტაფონი



გიორგი მერებაშვილი

ქართული ფეხბურთის ქომაგს ემახსოვრება 90-იანი წლების თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გელა ინალიშვილი. მაშინდელ „დინამოში“ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა — ინალიშვილი მოუღლელი ნახევარმცველი იყო და ერთ დროს დინამოელთა ლიდერიც გახლდათ. ფეხბურთელის კარიერა რაც დაასრულა, მას შემდეგ საფეხბურთო წრეებში იშვიათად ჩნდებოდა. ერთხანს საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელიც იყო... გელა ინალიშვილი გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში გამართულ ფორუმზე შევნიშნეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...



# მე არ ვარ ვეტერანი?!

## გელა ინალიშვილი: ქართულ ფეხბურთს სწორი გზა უნდა

— კარგა ხანია, არ ჩანდით. რას საქმიანობთ?

— სამწუხაროდ, ახლა უმუშევარი ვარ. მანამდე გარკვეულ ხანს საბაჟოში და კონტროლის პალატაში ვიმუშავე. სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციასაც ვხელმძღვანელობდი 4 წლის წინ.

**— ფორუმზე რატომ მოხვედით, მათ მოთხოვნებს იზიარებთ?**

— ყველანი ვხედავთ, რა საზოგადოებაც შეიკრიბა აქ. ყველამ იცის, მანუჩარ მაჩაიძე, საშა ჩივაძე და ვოვა გუცაევი რასაც წარმოადგენენ ქართული ფეხბურთისთვის. ერთი თაობის ფეხბურთელები ვიყავით მე, ჯამარაული და ყაველაშვილი. ესენი პროფესიონალები არიან და ამათ გვერდით ამიტომ ვდგავარ. ჩვენ არავის ვუპირისპირდებით, ვითხოვთ რიგგარეშე სამართლიან არჩევნებს. ხომ ხედავთ, რა დღეშიცაა დღეს ქართული ფეხბურთი. ყველანი ამიტომ ვერთიანდებით, გვინდა, კრიზისიდან გამოვიყვანოთ...

— გიორგი ნემსაძეს თუ უჭერდით მხარს წინა საპრეზიდენტო არჩევნებში?

— ობიექტური მიზეზების გამო არჩევნებზე ვერ მივედი, მაგრამ გიორგის გვერდით ვიდექი.

**— ამბობთ, რომ უმუშევარი ხართ. დღევანდელი ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ დაგკავშირებიათ და დახმარება არ შემოუთავაზებიათ?**

— დახმარება კი არა, ისე არავის მოვუკითხივარ. მე არ ვარ ვეტერანი ფეხბურთელი? რაც შემეძლო, ვემსახურე ქართულ ფეხბურთს და უბრალო ყურადღების ღირსიც არ ვარ? ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, ყოველ ღამე სიზმარში ფეხბურთს ვთამაშობ...

**— დავუშვათ, დაინიშნა რიგგარეშე არჩევნები და თქვენმა გუნდმა მოიგო. პირველად რას გააკეთებთ?**

— ბავშვთა ფეხბურთი უნდა ავაღორძინოთ, რაიონებს უნდა მივხედოთ... ადრე რეგიონებიდან მოდიოდა დიდი შევსება, დღეს კი ჩამკვდარია იქ ფეხბურთი. მწვრთნელთა განათლება მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა დავაყენოთ, 4 დღეში კი არ უნდა მისცე ლიცენზია, ბევრი ცოდნა უნდა ჰქონდეს მწვრთნელს, სხვანაირად არაფერი გამოვა. ბალახისსაფარიანი მოედნები უნდა გავაკეთოთ, ჩემპიონატს სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ და კიდევ ძალიან ბევრი რამეა გამოსასწორებელი.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით?**

— ბოლო წლებში ჩვენი ნაკრების თამაში უსახურია. რა აზრი ჰქონდა კლაუს ტოპმიოლერის მოყვანას, თუ ასეთი მაჩანჩალები ვიქნებოდით? ამ ნაკრებს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს და გული მტკივა, ასეთ დღეში რომ ვართ.

**— ისევ უცხოელი უნდა მოიყვანონ მწვრთნელად თუ ქართველს ემხრობით?**

— რატომ მაინცდამაინც უცხოელი, თემურ ქეცბაია ცუდი კანდიდატურაა? როცა თამაშობდა, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, ახლა წარმატებული მწვრთნელია უცხოეთში, კარგი განათლებაც აქვს, ქართული ფეხბურთის ყველაფერი იცის. მთავარია, მწვრთნელის საქმეში არავინ ჩაერიოს, მას სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

**— ანუ ქართული ფეხბურთის პოტენციალის დღესაც გჯერათ?**

— ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან ქართველები ყველაზე ნიჭიერები არიან. მათ სწორ გზაზე დაყენება უნდათ და ქართული ფეხბურთიც გაბრწყინდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# მოლდოვური ამბები

**მოლდოვის** ჩემპიონატის 28-ე ტურში, გათამაშების ლიდერმა ტირასპოლის „შერიფმა“ რიბნიცას „ისკრა-სტალი“ მიიღო და 6:0 გაანადგურა.

ტირასპოლელთა ქართველმა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა სრულად ითამაშა, ხოლო კიდევ ორი ქართველი ლეგიონერი — ძმები ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები არ გამოჩენილან.

ამავე ტურში ჯაბა დვალის და ლევან კორღალიძის კიშინიოვის „დაჩიამ“ „ტირასპოლს“ უმასპინძლა და უგოლოდ გაეყარა.

კიშინიოველთა გუნდში ორივე ქართველმა ფეხბურთელმა [illegible]ლად ითამაშა.

და ერთიც: კიშინიოვის „ზიმბრუმ“ სტუმრად „ნისტრუსთან“ 0:2 წააგო.

მამუკა ლომიძემ 90 წუთი ითამაშა.

**ჩახა შალამბერიძე**

# ოთხი დინამო და იუბილე

**სპორტსაზოგადოება** „დინამო“ 85 წლისთავს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით მოსკოვის „დინამო“ ამხანაგურ მატჩებს თბილისელ, კიეველ და მინსკელ თანაკლუბელებთან ჩაატარებს.

ამის თაობაზე რუსული „სპორტ-ექსპრესი“ წერს.

თბილისის „დინამო“ მოსკოველებს 28 ივნისს შეხვდება. მანამდე კი, 22 ივნისს, მასპინძლები, კიევის „დინამოს“ გაეჯიბრებიან, ხოლო 25 ივნისს — მინსკის „დინამოს“.

**ჩახა შალამბერიძე**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

## 1990 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**22-ე ტური**

მართვე 0:0 ზესტაფონი
მგლები 1:0 ბათუმი
მესხეთი 1:1 დილა
სპარტაკი 0:0 ბორჯომი

**23-ე ტური**

მართვე 0:0 სპარტაკი
ზესტაფონი 5:0 მგლები
ბათუმი 5:0 მესხეთი
დილა 1:2 ბორჯომი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 23 | 17 | 3 | 3 | 55:23 | 54 |
| ბორჯომი | 23 | 16 | 4 | 3 | 60:26 | 52 |
| მართვე | 23 | 16 | 4 | 3 | 59:25 | 52 |
| მგლები | 23 | 10 | 3 | 10 | 42:37 | 33 |
| სპარტაკი | 23 | 8 | 4 | 11 | 35:45 | 28 |
| ბათუმი | 23 | 7 | 3 | 13 | 36:42 | 24 |
| დილა | 23 | 5 | 4 | 14 | 26:51 | 19 |
| მესხეთი | 23 | 0 | 1 | 22 | 24:88 | 1 |

### ცენტრალური ზონა

**22-ე ტური**

მერანი 1:1 იმედი
მთ. გლობუსი 1:0 თ. ს. აკადემია
35-ე სკოლა 0:3 ამერი
ოლიმპიკი — დინამო გადაიდო

**23-ე ტური**

იმედი 2:3 მთ. გლობუსი
მერანი — 35-ე სკოლა გადაიდო
აკადემია — ოლიმპიკი გადაიდო
დინამო — ამერი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 16 | 2 | 3 | 77:24 | 50 |
| მერანი | 22 | 11 | 6 | 5 | 48:30 | 39 |
| ამერი | 22 | 11 | 3 | 8 | 41:21 | 36 |
| ოლიმპიკი | 21 | 11 | 2 | 8 | 38:33 | 35 |
| 35-ე სკოლა | 22 | 9 | 3 | 10 | 37:44 | 30 |
| მთ. გლობუსი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:57 | 29 |
| თ. ს. აკადემია | 22 | 6 | 2 | 14 | 23:45 | 20 |
| იმედი | 23 | 2 | 5 | 16 | 20:62 | 11 |

### აღმოსავლეთი ზონა

**22-ე ტური**

ოლიმპი 2:1 ვიტ ჯორჯია
ნ. დინამო 2:3 ლოკომოტივი
ოლიმპი 2 2:0 ერთობა
სიონი 4:4 ავაზა

**23-ე ტური**

ნ. დინამო 5:3 სიონი
ლოკომოტივი — ოლიმპი გად.
ვიტ ჯორჯია — ოლიმპი 2 გად.
ერთობა — ავაზა გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 18 | 1 | 3 | 64:25 | 55 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 15 | 1 | 6 | 47:15 | 46 |
| ოლიმპი | 22 | 13 | 1 | 8 | 52:41 | 40 |
| ნ. დინამო | 23 | 12 | 3 | 8 | 68:45 | 39 |
| ოლიმპი 2 | 22 | 11 | 1 | 10 | 54:43 | 34 |
| ავაზა | 22 | 5 | 2 | 15 | 44:84 | 17 |
| ერთობა | 22 | 5 | 0 | 17 | 22:66 | 15 |
| სიონი | 23 | 4 | 3 | 16 | 43:75 | 15 |

## 1991 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**21-ე ტური**

ბორჯომი 3:0 მესხეთი
დილა 0:0 მგლები
ბათუმი 2:0 მართვე
ზესტაფონი 3:2 სპარტაკი

**22-ე ტური**

ზესტაფონი 5:1 მართვე
ბათუმი 4:2 მგლები
დილა 0:1 მესხეთი
ბორჯომი 2:1 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 22 | 15 | 5 | 2 | 49:17 | 50 |
| ზესტაფონი | 22 | 12 | 7 | 3 | 41:21 | 43 |
| ბორჯომი | 22 | 11 | 5 | 6 | 30:20 | 38 |
| მართვე | 22 | 10 | 4 | 8 | 24:23 | 34 |
| მგლები | 22 | 7 | 7 | 8 | 33:26 | 28 |
| სპარტაკი | 22 | 7 | 6 | 9 | 34:22 | 27 |
| დილა | 22 | 4 | 8 | 10 | 19:31 | 20 |
| მესხეთი | 22 | 1 | 0 | 21 | 12:82 | 3 |

### ცენტრალური ზონა

**21-ე ტური**

ამერი 2:1 ოლიმპიკი
დინამო 1:0 მთ. გლობუსი
თ. ს. აკადემია 1:0 მერანი
იმედი 1:5 35-ე სკოლა

**22-ე ტური**

იმედი 0:3 მერანი
თ. ს. აკადემია 1:1 მთ. გლობუსი
დინამო 6:0 ოლიმპიკი
ამერი 1:2 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 22 | 17 | 2 | 3 | 49:16 | 53 |
| დინამო | 22 | 16 | 3 | 3 | 46:9 | 51 |
| თ. ს. აკადემია | 22 | 12 | 4 | 6 | 33:20 | 40 |
| მერანი | 22 | 11 | 4 | 7 | 31:19 | 37 |
| ოლიმპიკი | 22 | 10 | 1 | 11 | 36:41 | 31 |
| ამერი | 22 | 8 | 4 | 10 | 23:23 | 28 |
| მთ. გლობუსი | 22 | 4 | 1 | 17 | 22:50 | 13 |
| იმედი | 22 | 0 | 1 | 21 | 8:70 | 1 |

### აღმოსავლეთი ზონა

**21-ე ტური**

ავაზა 1:0 ოლიმპი 2
ერთობა 0:1 ოლიმპი
ლოკომოტივი 0:0 სიონი
ვიტ ჯორჯია 0:4 ნ. დინამო

**22-ე ტური**

ლოკომოტივი 1:2 ნ. დინამო
ავაზა 1:1 სიონი
ერთობა 1:0 ოლიმპი 2
ვიტ ჯორჯია 2:0 ოლიმპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 22 | 17 | 3 | 2 | 71:16 | 54 |
| ოლიმპი | 22 | 17 | 2 | 3 | 83:15 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 2 | 5 | 53:31 | 44 |
| სიონი | 22 | 8 | 6 | 8 | 29:50 | 30 |
| ერთობა | 21 | 8 | 4 | 9 | 26:33 | 28 |
| ლოკომოტივი | 22 | 5 | 4 | 13 | 21:35 | 19 |
| ავაზა | 22 | 1 | 7 | 14 | 14:60 | 10 |
| ოლიმპი 2 | 22 | 2 | 2 | 18 | 19:76 | 8 |

## 1992 წელს დაბადებულები

### დასავლეთი ზონა

**21-ე ტური**

ბორჯომი 1:2 მესხეთი
დილა 1:1 მგლები
ბათუმი 1:2 მართვე
ზესტაფონი 3:0 სპარტაკი

**22-ე ტური**

ზესტაფონი 0:1 მართვე
ბათუმი 2:3 მგლები
დილა 4:1 მესხეთი
ბორჯომი 0:1 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 22 | 19 | 1 | 2 | 72:19 | 58 |
| მგლები | 22 | 15 | 3 | 4 | 49:31 | 48 |
| მართვე | 22 | 12 | 4 | 6 | 41:22 | 40 |
| ზესტაფონი | 22 | 11 | 5 | 6 | 50:23 | 38 |
| სპარტაკი | 22 | 8 | 3 | 11 | 28:46 | 27 |
| ბათუმი | 22 | 6 | 3 | 13 | 33:44 | 21 |
| მესხეთი | 22 | 4 | 0 | 18 | 23:71 | 12 |
| ბორჯომი | 22 | 3 | 1 | 18 | 15:55 | 10 |

### ცენტრალური ზონა

**21-ე ტური**

ამერი 1:3 ოლიმპიკი
თ. ს. აკადემია 2:2 მერანი
იმედი 0:3 35-ე სკოლა
დინამო — მთ. გლობუსი გად.

**22-ე ტური**

იმედი 1:4 მერანი
თ. ს. აკადემია 0:1 მთ. გლობუსი
დინამო 1:1 ოლიმპიკი
ამერი 0:0 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 14 | 6 | 1 | 67:10 | 48 |
| 35-ე სკოლა | 22 | 14 | 5 | 3 | 49:21 | 47 |
| მერანი | 22 | 10 | 8 | 4 | 47:23 | 38 |
| მთ. გლობუსი | 22 | 11 | 3 | 7 | 38:48 | 36 |
| ამერი | 22 | 7 | 4 | 11 | 37:36 | 25 |
| ოლიმპიკი | 22 | 7 | 4 | 11 | 34:45 | 25 |
| თ. ს. აკადემია | 22 | 3 | 6 | 13 | 16:50 | 15 |
| იმედი | 22 | 2 | 2 | 18 | 17:72 | 8 |

### აღმოსავლეთი ზონა

**21-ე ტური**

ავაზა 1:0 ოლიმპი 2
ერთობა 0:2 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 4:1 ნ. დინამო
ლოკომოტივი 2:0 სიონი

**მე-19 ტური**

ლოკომოტივი 3:1 ნ. დინამო
ვიტ ჯორჯია 1:4 ოლიმპი
ერთობა 0:3 ოლიმპი 2
ავაზა 2:1 სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 22 | 19 | 1 | 2 | 90:10 | 58 |
| ლოკომოტივი | 22 | 14 | 5 | 3 | 47:16 | 47 |
| ავაზა | 22 | 13 | 2 | 7 | 36:29 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 5 | 6 | 53:33 | 38 |
| ოლიმპი 2 | 22 | 9 | 6 | 7 | 29:29 | 33 |
| ნ. დინამო | 22 | 7 | 1 | 14 | 35:53 | 22 |
| სიონი | 22 | 3 | 1 | 18 | 18:72 | 10 |
| ერთობა | 22 | 1 | 1 | 20 | 17:83 | 4 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს

# ბერნაბეუმ რონალდუს ჩრდილი მესის გადააფარა

**ბარსელონა — მანჩესტერი**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** ვალდესი; ძამბროტა, მარკესი, მილიტო, აბიდალი; ხავი, ტურე, ინიესტა; კრკიჩი, ეტოო, მესი
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი; ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა; რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი; რუნი, ტევესი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**ამ სეზონის** ჩემპიონთა ლიგის ორი დაუმარცხებელი გუნდი ერთმანეთს დღეს „კამპ ნოუზე“ შეხვდება.

ეს ორმატჩიანი დუელი კრიშტიანუ რონალდუსა და ლიონელ მესის შეჯიბრიც იქნება. ლიგაში პორტუგალიელმა 7, არგენტინელმა კი 6 გოლი გაიტანა.

„ბარსელონას“ ნახევარფინალებში მეტოქეზე უკეთესი სტატისტიკა აქვს: რვიდან ოთხჯერ ფინალში გააღწია, ხოლო „მანჩესტერმა“ ცხრიდან მხოლოდ ორჯერ.

კატალოგიელებმა საამსეზონო ლიგაში ხუთიდან ხუთივე საშინაო მატჩი მოიგეს ბურთების შეფარდებით 10:1-თან, სამაგიეროდ ალექს ფერგიუსონის გუნდი სტუმრად არ დამარცხებულა — სამჯერ იმარჯვა და ორიც ფრედ დაასრულა.

ინგლისურ კლუბებს კატალონიელებმა 23-ჯერ უმასპინძლეს, 13 მატჩი მოიგეს, რვაჯერ დაუზავდნენ და მხოლოდ ერთხელ წააგეს.

„მანჩესტერს“ კი ესპანეთის ჰაერი არ უხდება — ერთი მოგება 6 ფრისა და 9 მარცხის წილ.

„ბარსელონასა“ და „მანჩესტერის“ გზები აქამდე შვიდჯერ გადაიკვეთა. გუნდებმა ორ-ორი გამარჯვება მიითვალეს და სამჯერ დაზავდნენ.

ყველაზე ბარაქიანი იყო ორი მატჩი ჯგუფურ ეტაპზე (1998-1999), როცა ორივე თამაში 3:3 დასრულდა.

„ბარსელონას“ აკადემიის აღზრდილმა და მესის მეგობარმა, ამჟამად კი „მანჩესტერის“ მცველმა ჟერარდ პიკემ კრიშტიანუ რონალდუს და ლიონელ მესის შედარებითი დახასიათება დაწერა. „ჩემი აზრით, ამ დუელში პორტუგალიელი არგენტინელს დაჩრდილავს, რადგან რონალდუ უფრო სრულყოფილია. მას ფორვარდობაც შეუძლია და ორივე ფლანგზე ერთნაირად სასარგებლოა, თუმც ბევრი გოლი ამის გამო კი არა, იმიტომ გააქვს, რომ ნახევარი შანსიც ჰყოფნის და მომენტთა უმეტესობას იყენებს. აი, მესის კი ამ მხრივ დახვეწა სჭირდება. ჩვენ ვისაუბრეთ მომავალ მატჩზე, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. მე ხომ ბარსელონაში დავიბადე და კატალონიელი ვარ“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომლის სრული გვარი პიკე ბერნაბეუა.

მესიმ კი თქვა: „უკვე გამოვკეთდი და მინდა, ოთხშაბათს კარგი თამაშით გავახარო ფანები. სწორედ ამ ორ მატჩში უნდა ვაჩვენო, თუ რისი მაქნისი ვარ. რონალდუ დიდებული ფეხბურთელია და ამ სეზონში ბევრი გოლიც შეაგდო, მაგრამ ნახევარფინალში მე და რონალდუ კი არ ვხვდებით, „ბარსელონა“ ეთამაშება „მანჩესტერს“.

მაიკლ კარიკი „კამპ ნოუზე“ ორი გოლის გატანაზე ოცნებობს.

„მატჩი რთული იქნება, განსაკუთრებით მასპინძლებისთვის, რადგან ბოლოხანს ცუდად თამაშობენ და წნეხის ქვეშ არიან. ჩვენ ორი გოლის გატანა თუ მოვახერხეთ, საპასუხო შეხვედრისთვის დიდებულ განწყობას შევიქმნით. ორივე გუნდი





შემტევი ფეხბურთის ტრფიალია და არ გამოვრიცხავ, რომ ბევრი გოლი გავიდეს“.

„ბარსელონა“ გასულ შაბათს კატალონიურ დერბიში „ესპანიოლს“ უგოლოდ დაუზავდა და მესამე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ გუნდმა მარტში და აპრილში 12 მატჩიდან მხოლოდ ოთხი მოიგო და მათგან სამი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა იყო.

„ესპანიოლთან“ ფრეში ანდრეს ინიესტამ საიმედო მინიშნება აღმოაჩინა — პრიმერაში „ბეტისთან“ და „ხეტაფესთან“ ვერმოგებული მატჩების შემდეგაც გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ „შალკეს“ ორივეჯერ ვძლიეთო.

„მანჩესტერის“ მარტ-აპრილის მონაგარი კი ასეთია: 12 მატჩში ცხრა მოგება, ორი ფრე და ერთი წაგება. პრემიერლიგაში გუნდი შაბათს სტუმრად „ბლექბერნს“ 1:1 ეთამაშა. მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩის ბოლოს ტევესმა გაქვითა.

„ბარსელონას“ ფრანგი ფორვარდი ტიერი ანრი, ვისაც „მანჩესტერთან“ 18 მატჩში 8 გოლი გაუტანია, სიცხიანია და მისი თამაში საეჭვოა.

კარლეს პუიოლი დისკვალიფიცირებულია და მის ადგილს ალბათ რაფაელ მარკესი დაიკავებს.

მანჩესტერელებს კი სერბი მცველი ნემანია ვიდიჩი გამოუკეთდათ. პოლ სქოულზისთვის და გარი ნევილისთვის, თუ, რა თქმა უნდა, ითამაშებენ, ეს იქნება ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩი.

**გაგა ხუციშვილი**



# ვალენსიამ კუმანი დაითხოვა

**„ვალენსიამ“** სამსეზონოდ თავისი უკულმართი ბედის სასიკეთოდ შემოტრიალება ერთი დაკვრით გადაწყვიტა. „ღამურათა“ თავკაცობამ „მესტალიადან“ მწვრთნელი რონალდ კუმანიც დაითხოვა, მისი სამწვრთნელო შტაბიც, სპორტული დირექტორიც და ტექნიკური მდივანიც. ოდინდელ უფროსებს ადგილობრივები, „ვალენსიას“ სკოლის აღზრდილები ჩაანაცვლებენ. არადა, ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა ვალენსიელ ბიჭებს სეგუნდაში გასავარდნ ზონამდე ორი ქულაღა აშორებთ.

ალბათ „ღამურათა“ საბედნიეროდ, ამიერიდან რონალდ კუმანი „ვალენსიას“ დამრიგებელი აღარაა.

კუმანს, რომელმაც ამ კლუბს წლეულს კოპა დელ რეი კი შეარგო, მაგრამ საერთო ჯამში „მესტალიას“ უფრო არეულობა მოუტანა, ვიდრე სიკეთე, „შინაური კაცი“, ვალენსიელთაგან დიდად დაფასებული სალვადორ გონსალეს ვორო შეცვლის. ხოლო „ტინტინი“ (რონალდ კუმანი) გუნდიდან მარტო არ წასულა, მას თან თანაშემწეებიც მიჰყვნენ — ხოსე მარი ბაკერო და ტონი ბრუინს სლოტიც. თანამდებობები დატოვეს აგრეთვე სპორტულმა დირექტორმა მიგელ ანხელ რუისმა და მისმა მარჯვენა ხელმა ანტონიო ფერნანდესმა.

მოლაპარაკებები კუმანის დათხოვნის თაობაზე ორშაბათს გვიან ღამით დაიწყო და რამდენიმე საათს გაგრძელდა. „ვალენსიას“ თავკაცები — აგუსტინ მორერა და რაფაელ სალომი — ჰოლანდიელს კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტისა და „ვალენსიას“ დატოვების აუცილებლობაში არწმუნებდნენ. რონალდ კუმანი „ღამურათა“ გუნდის ისტორიაში ხომ ყველაზე უიღბლო დამრიგებელი გამოდგა — 22 მატჩში ოდენ 18 ქულა აიღო და „ვალენსიამაც“, მისი მეთაურობით, მხოლოდ ოთხ საპრიმერო მატჩში გაიმარჯვა. „ხეტაფესთან“ კოპა დელ რეი მოვიგეთ და ამის გამო გუნდს ამაყად თავაწეული ვტოვებ — თასზე გამარჯვება სახუმარო საქმე არ გახლავთ. თუმცა ჩემს ვალენსიურ პერიოდს საკმაოდ დიდი იმედგაცრუებაც ახლავს თან“ — განუცხადა სახელგანთქმულმა ჰოლანდიელმა ჟურნალისტებს. მისი ვადამდელი დათხოვნა კი „ვალენსიას“ 10 მილიონი ევრო დაუჯდება.

სალვადორ გონსალეს ვორო „ღამურათა“ კლუბის ძველი ფეხბურთელია, კუმანის მოხსნამდე კი „ვალენსიაში“ ერთ-ერთი ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავა. ვორომ თქვა, რომ „მესტალიაზე“ „ტინტინის“ მიერ დათხოვნილ ფეხბურთელებს დააბრუნებს. ასე რომ, მალე ალბელდას, კანისარესს და ანგულოს მოედანზე ისევ ვალენსიურ აბჯარში გამოწყობილებს ვიხილავთ.

„ახლა მთავარია, „ვალენსია“ სეგუნდადივიზიონში გავარდნას გადავარჩინოთ. ეს კლუბი იგივე ჩემი მეორე ოჯახია, მისი ღირსებისთვის არაფერს დავიშურებ, მაგრამ ოთხ თვეზე მეტია, დიდი ფეხბურთი არ მითამაშია და ეს ალბათ პრობლემას შემიქმნის. ყოველ შემხვევაში, ახალ მწვრთნელს უნდა მოვეთათბირო“ — აღნიშნა დავიდ ალბელდამ. მოგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა ევრო 2008-სთვის „ფურია როხას“ შემადგენლობაში მიიწვია.

**ლადო ხომერიკი**

# ლაუდრუპი ამუბნელი არაა



„საითაც გინდა გაიქეცი, ის თვითონ მოგძებნის" — ასე ამბობდნენ მიქაელ ლაუდრუპზე თანაგუნდელები, როცა ელეგანტური მეპასე მადრიდის „რეალში" თამაშობდა. ივან სამორანო პრიმერადივიზიონის ბომბარდირი მას შემდეგ გახდა, რაც ლაუდრუპი სამეფო კლუბში გადავიდა. ჩილელმა ფორვარდმა 1994-1995 წლების სეზონში გოლების 82 პროცენტი დანიელის პასით გაიტანა და მას გენიოსი უწოდა.

ერთხელ რომარიომ თქვა, რომ ლაუდრუპის ადგილი მსოფლიოს ხუთ საუკეთესო ფეხბურთელშია და ჩამოთვალა: „პელე, მარადონა, ზიდანი, ლაუდრუპი... რომარიო".

იოჰან კრუიფმა დანიელი ნახევარმცველი ასე დაახასიათა: „ერთ-ერთი ყველაზე რთული ფეხბურთელი მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია. როცა 80-90 პროცენტით იხარჯებოდა და დიდებულად თამაშობდა, მაშინაც კი საუკეთესო ფორმისგან შორს იყო. მე ასით დახარჯვას ვთხოვდი, მაგრამ ძალიან იშვიათად მიჯერებდა".

მიშელ პლატინი: „მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე... ვარჯიშებზე, რომელიც მატჩებში უდიდეს ნიჭს ბოლომდე არ იყენებდა".

კბ-ს, „ბრონდბიუს", „ლაციოს", „იუვენტუსის", „ბარსელონას", „რეალის", „კობესა" და „აიაქსის" ყოფილი ნახევარმცველი ახლა 43 წლისაა. ფეხბურთს 1998-ში დაანება თავი და დანიის ნაკრებში მორტენ ოლსენის თანაშემწედ მუშაობდა.

2002 წლიდან „ბრონდბიუს" მწვრთნელი გახდა. ოთხ სეზონში თასი ორჯერ მოიგო და ერთხელ ჩემპიონატი. მერე კლუბის ხელმძღვანელებს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ მოურიგდა და 2006-ის შემოდგომაზე „ბრონდბიუდან" წავიდა. შარშან ზაფხულს „ხეტაფე" ჩაიბარა, რომელსაც მანამადე ორი წლის განმავლობაში ბერნდ შუსტერი თავკაცობდა.

ახლა „ხეტაფე" მე-13 ადგილზეა და პრიმერაში დასარჩენად იბრძვის, თუმც გუნდისთვის სეზონს ცუდი არ ეთქმის, რადგან უეფას თასის მეოთხედფინალს და ესპანეთის თასის ფინალს უწია. ორივეგან დამარცხდა, მაგრამ ამ კალიბრის გუნდმა ამდენს რომ მიაღწია, ესაც უკვე დიდი საქმეა.

**fifa.com**-თან ინტერვიუში ლაუდრუპი განვლილ კარიერას იხსენებს და დანიის ნაკრების ავანჩავანზე საუბრობს

**— „ხეტაფეს" ფეხბურთი თქვენს სათამაშო ყაიდას წააგავს: შეტევაზეა მომართული და კარგი მეპასეებიც ჰყავს. უფრო მეტად რომელი მწვრთნელის გავლენა იგრძნობა ლაუდრუპის საფეხბურთო ფილოსოფიაში?**

— ალბათ, ცოტ-ცოტა ყველასი, ვისთანაც მითამაშია, თუმც იოჰან კრუიფს და ზეპ პიონტეკს გამოვარჩევ. გავიხსენებ ხორხე ვალდანოს, მორტენ ოლსენს და თუნდაც ჯოვანი ტრაპატონის, რომლის ხედვაც დანარჩენ ჩამოთვლილთაგან რადიკალურად განსხვავებული იყო.

მიუხედავად ამისა, ტრაპატონისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ბედნიერებაა, რომ ესოდენ დიდი მწვრთნელების ხელში გამოვიარე.

**— ალბათ გსურთ, რომ „ხეტაფე", როგორც ბერნდ შუსტერმა, უკეთეს კლუბში გადასვლისთვის გამოიყენოთ...**

— აქ რომ ჩამოვედი, მაშინვე ეს მკითხეს. გამოცდილებით ვიცი, რომ როცა ერთ საქმეს მისდევ, მთლიანად მასზე უნდა ფიქრობდე და არა იმაზე, თუ რა იქნება ხვალ. ოცნებაში დაიკარგები და მიზანს ვეღარ მიაღწევ. ამიტომაც ახლა ჩემი საზრუნავი მხოლოდ და მხოლოდ „ხეტაფეა".

**— ამჟამად რომელი გუნდის თამაში გხიბლავთ?**

— მე უფრო ორი კარგი გუნდის შეხვედრა მომწონს, ვიდრე რომელიმე ერთის თამაში. მაგალითად, შესაძლოა, „ბარსელონასა" და „რეალის" მატჩი ტაქტიკის სახელმძღვანელოში შესატანი არ გამოვიდეს, მაგრამ სანახავად ვერაფერი შეედრება. ესპანური ფეხბურთი ლამაზია, თუმც „მანჩესტერისა" და „ლივერპულის" მატჩების ყურებაც მიყვარს, რადგან იქაც უდიდესი დაძაბულობაა.

**— „ბარსელონა" — „რეალის" დროს რომლისკენ იხრებით?**

— ამ კითხვით ხომ არ მასვენებენ! რამდენი წელი გავიდა უკვე, რაც იქ აღარ მითამაშია და ხალხს მაინც ეს აინტერესებს. მე დანიელი ვარ და ვერცერთის მხარეს ვერ დავიჭერ. ისიც საკმარისია, რომ ბედმა ამ ორ უდიდესი კლუბის მაისურის ჩაცმა მაღირსა.

**— „ბარსელონაში" რომ გადახვედით, იოჰან კრუიფის „ოცნების გუნდის" ფეხბურთელი გახდით. რა გახსენდებათ იმ ხუთწლიანი (1989-1994) პერიოდიდან?**

— ოთხჯერ მოგებული პრიმერა და განსაკუთრებით ის სამი სეზონი, როცა ჩემპიონობა ბოლო ტურში მოვიპოვეთ, მაგრამ ყველაზე ტკბილად მეგობრები მახსენდება. ხშირად მსმენია, რომ დიდ კლუბებში შური, ეჭვი და ერთურთის ზიზღი ბუდობს, მაგრამ „ბარსელონაში" თითქმის იდეალური ვითარება იყო. ერთმანეთს პატივს ვცემდით და ეს მოედანზეც ჩანდა და მის გარეთაც.

**— მაგრამ ამბობენ, რომ „რეალში" გადასვლით „ბარსელონაზე" შური იძიეთ, სადაც ბოლო სეზონში საქმეები აგერიათ**

— ეს არ იყო შურისძიება. კონტრაქტი დამისრულდა, ესპანეთიდან წასვლა არ მსურდა და ისეთ გუნდში გადავედი, რომელშიც კვლავ ჩემპიონი გავხდებოდი. ახლა რომ ვიხსენებ, უნიკალური ამბავია — ერთხელ „ბარსამ" „რეალს" 5:0 მოუგო და ბარსელონელი ვიყავი, მერე კი „რეალმა" ამავე ანგარიშით იმარჯვა და მაშინ „რეალის" მაისურა მეცვა.

**— 1983 წელს „ბრონდბიუდან" სერია A-ში, „იუვენტუსში" გადახვედით, რომელმაც „ლაციოში" გაგანათხოვრათ. რა შეგძინათ იტალიურმა ფეხბურთმა?**

— იტალიაში 19 წლის ჩავედი, როცა იქ კლუბში ორ უცხოელზე მეტს არ უშვებდნენ და თან დანიურ ლიგასა და მაშინდელ ევროპაში საუკეთესო სერია A-ს შორის უდიდესი განსხვავება იყო. „ლაციოში" ძალიან გამიჭირდა, მაგრამ „იუვეში" დაბრუნებულს დამიფასდა. სკუდეტოც მოვიგეთ და საკონტინენტთაშორისო თასიც. ექვსი სეზონის შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა შემეცვალა და, როგორც კი „ბარსადან" მიხმეს, მაშინვე დავთანხმდი, რადგან ესპანური ლიგა ბევრად უფრო საჩემო იყო.

**— უცნაურია, რომ 28 წლისამ სანაკრებო კარიერა დაასრულეთ, მერე ევრო-92-ზე თამაშიც იუარეთ და, როგორც აღმოჩნდა, ოქროს მედალი დაკარგეთ.**

— ნაკრებიდან წასვლა 1990-ში გადავწყვიტე. ევროპის 1984 და მსოფლიოს 1986 წლების ჩემპიონატის მონაწილე დანიელი ფეხბურთელები ეროვნული გუნდიდან წავიდნენ, ახალ მწვრთნელს ახალი გუნდის შენება უნდა დაეწყო და თაობები მე უნდა შემეკრა, მაგრამ ევრო 92-ზე მოხვედრის შანსი არ გვქონდა, მე კი „ბარსელონაში" ვიყავი, რომელსაც გაბრწყინების ჟამი ედგა და ამიტომ კლუბზე გადავერთე და ნაკრებს დროებით მოვწყდი. მერე კი იუგოსლავიაში ომი ატყდა, ჩვენ მათ ნაცვლად ევროჩემპიონატზე გაგვიშვეს და მოულოდნელად დანიამ მოიგო. გული კი მწყდება, იმ გუნდში რომ არ ვიყავი, მაგრან ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო.

**— 80-იან წლებში საუცხოო ნაკრები გყავდათ და რატომ ვერ მოიგეთ ერთი ჯილდო მაინც?**

— ევრო 84-ზე არ გაგვიმართლა და ნახევარფინალში ესპანელებთან პენალტებით წავაგეთ. სულ სხვა ამბავი იყო მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომლის დაწყებამდეც გუნდმა თვენახევარი ერთად გაატარა და ჯგუფურ ეტაპზე ერთიმეორეს მივაყოლეთ შოტლანდია, ურუგვაი და გერმანია. სამწუხაროდ, თავში აგვივარდა, ესპანეთთან მერვედფინალის წინ მსოფლიოს ჩემპიონობაზე დავიწყეთ საუბარი და ამიტომაც გაგვანადგურეს 5:1.

**— კარიერით კმაყოფილი ხართ?**

— „აიაქსში" ზედიზედ ორჯერ ჩემპიონატი და თასი მოვიგე და ასე დავასრულე კარიერა. ფეხბურთელისთვის უკეთესი რაღა უნდა იყოს...

**— თქვენი ბიჭებიც თურმე მამასავით კარგად თამაშობენ...**

— მადსი უფროსია და „კოპენჰაგენში" თამაშობს. პატარა ანდრეასი კი „რეალის" ბავშვთა გუნდშია, თუმც მათთვის ფეხბურთელობა არ დამიძალებია. მთავარია, კარგად აკეთონ საქმე, რომელიც უყვართ.



# კვირა საღამოს სტუმრები


ვიქტორია და დევიდ ბექჰემები


უილ სმიტი


პაფ დედი


ელტონ ჯონი

**ვიქტორია ბექჰემმა** დაბადების დღეების ჰეთ-თრიკი შეასრულა — გასულ უქმეებზე მასამე დიდი წვეულება გადაიხადა და მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავთ-ვარსკვლავები დაპატიჟა.

„პოში" 34 წლისა გასულ ხუთშაბათს მოიყარა და მართალია, ამ ასაკზე ვერავინ იტყვის, მრგვალი თარიღიაო — ინგლისსა და ამერიკაში უფრო 21, 30, 40 თუ 50 წელიწადს გამოყოფენ — ორი ზეიმი ხომ იმავე დღეებში მოაწყო და მესამე, როგორც გითხარით, კვირას დაამატა.

ეს, მესამე წვეულება „ლოს ანჯელეს გელექსისა" და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავის, დევიდ ბექჰემის მეუღლემ კალიფორნიაში, კერძოდ სანტა მონიკაში, უფრო ზუსტად კი, რესტორან „ვია ვენტოში" მოაწყო.

როგორც ინგლისური ტაბლოიდები იტყობინებიან, ეს გახლდათ წვეულება A კლასის სტუმართა სიით და ეს რომ მართლა ასე იყო, ამ ფოტოებიდანაც ნათლად ჩანს.

# ეტოოს დეზებს მოარგებენ

**ხუანდე რამოსი** მომავალი სეზონისთვის თავისი „ტოტენჰემის" გაძლიერებას სამუელ ეტოოთი აპირებს. ინგლისური და ესპანური გაზეთები წერენ, რომ „დეზების" უპირველესი სატრანსფერო მიზანი სწორედ „ბარსას" კამერუნელი ფორვარდია და არა დანიელ ალვეში, დავიდ ვილია ან კარლოს კამენი. „ტოტენჰემის" მფლობელმა დენიელ ლევიმ ეტოოს ვარიანტი მოიწონა და გადაწყვიტა, „ბარსელონას" დაუკავშირდეს, რათა კატალონიელთაგან სასურველი ფეხბურთელის ღირებულება შეიტყოს.



სამუელ ეტოოს მოქმედი კონტრაქტით „ბარსასთან" 2010 წლამდე უწევს თანამშრომლობა და მასთან ხელშეკრულების გაუქმებაც 150 მილიონი ევრო ღირს. „ტოტენჰემს" კი სეზონის ბოლოს ბულგარელი მეგოლე დიმიტარ ბერბატოვი ტოვებს და მისტერ ლევისაც კამერუნელზე ნადირობის დაწყება ამიტომ გადაუწყვეტია. ინგლისურ კლუბს ფული საკმაოდ აქვს და იქაურ თავკაცობას უნდა, ეტოო „დეზების" სიმბოლოდ, გუნდის უპირველეს ვარსკვლავად და სახედ აქციოს.

ირაკლი ხოშტარია, კოტე ტულუში და გიორგი ნიკოლაძე — ჩემპიონობაზე რომ საუბრობს, „ავიატორთა“ მწვრთნელს, პირველ რიგში, სწორედ ამ ტრიოსი ეიმედება, თუმც დღესდღეობით სამივე ტრავმირებულია და არავინ იცის, ჩადგებიან თუ არა ისინი პლეი ოფამდე მწყობრში. ხოშტარიას ხელი აწუხებს, ნიკოლაძეს ნეკნი აქვს გატეხილი, ხოლო ტულუშმა ბოლოსწინა მატჩში ცხვირი გაიტეხა. გუშინ სწორედ **კოტე ტულუშს** შევეხმიანეთ...



— ცხვირი და მთლიანად სახე გასიებული მაქვს და ექიმებმა წოლითი რეჟიმი გამომიწერეს.

— ესე იგი, ძალიან სერიოზული ტრავმა მიგილია „ვითასთან“ მატჩში...

— ცხვირის ძვალი გამიტყდა და მეტი სერიოზული რაღა უნდა მომსვლოდა. მეტოქის იდაყვი მომხვდა სახეში და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ცხვირის ძვალი დამიზიანდა.

— ქირურგიული ჩარევა ხომ არ დაგჭირდა?

— არა, მაგრამ სპეციალური მოწყობილობებით გამისწორეს ძვალი, თაბაშირი დამადეს და ახლა შეხორცებას ველოდები. კიდევ კარგად გადავრჩი, რომ ტვინის შერყევა არ დამემართა. ექიმებმა თქვეს, როცა სახეზე ძვალი ტყდება, ეს საქმე შერყევის გარეშე ძალიან იშვიათად თუ ჩაივლისო. გამსინჯეს და საბედნიეროდ ყველაფერი მწყობრშია, თუმც ერთკვირიანი წოლითი რეჟიმი მაინც გამომიწერეს.

— პლეი ოფი 8 მაისს დაიწყება და ამ დროისთვის მწყობრში იქნები?

— ჯერ ვერ ვიტყვი. ხვალ გამსინჯავს ექიმი და ნახავს, ძვალი როგორ დაჯდა. თუ არ გამირთულდა, იმედი მაქვს, პლეი ოფისთვის მოედანზე გასვლას შევძლებ. ოღონდ დამცავი ნიღბის გარეშე ვერ ვითამაშებ. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა — თბილისში სად ვიშოვო ნიღაბი.

— შენს გარდა „ავიამშენს“ კიდევ ორი უკანახაზელი ჰყავს ტრავმირებული და მათი საქმე როგორაა?

— ხოშტარიას დღეს სურდა ვარჯიშის განახლება, მაგრამ ექიმს რომ გაესინჯა, კიდევ 2 კვირით დასვენება ურჩიეს. გიორგი ნიკოლაძესაც ჩემსავით წოლითი რეჟიმი აქვს გამოწერილი. მან ვარჯიშზე ნეკნი დაიზიანა, ხოლო „დინამოსთან“ მატჩში მეტოქე დაეჯახა და რენტგენი რომ გადაუღეს, მოტეხილობა აღმოაჩნდა. ნეკნზე თაბაშირს ვერ ადებენ და მწოლიარე უნდა ელოდოს, როდის შეუხორცდება.

— ნახევარფინალში თსუ-ს ხვდებით და როგორი შანსები გაქვთ?

— ასეთი შემადგენლობით ფინალში გასვლის მიზერული შანსი გვაქვს, ხოლო თუ ყველა გამოვჯანმრთელდით, ვფიქრობ, მცირე უპირატესობა ჩვენ გვექნება. თსუ ძალიან მებრძოლი გუნდია და რეგულარული ჩემპიონატის მატჩების უმეტესობაც მოგვიგო. ასე რომ, სრული მობილიზებით თუ არ ვითამაშეთ, წაგება არ აგვცდება.

**ირაკლი პერტაია**

# გაზაფხულმა მარკოიშვილს ტრავმა გაახსენა ელისმა პრიმერა შეინარჩუნა

**გასულ** კვირაში მთავარი ლეგიონერული ამბავი გიორგი ცინცაძის საევროთასო ოთხთა ფინალში თამაში იყო, თუმცა ამ საქმიდან საჩვენო არაფერი გამოვიდა. ესტონურმა „როკმა“ ჯერ ნახევარფინალი წააგო ლატვიურ „ბარონსთან“, შემდეგ კი მესამე ადგილისთვის მატჩიც დათმო კვიპროსულ აელ-თან.

ეს ამბები „სარბიელის“ წინა ნომრებიდან გეცოდინებათ, აქ კი დანარჩენი ლეგიონერების შესახებ მოგითხრობთ, თუმც სალაპარაკოც ბევრი არაფერია.

მოვიდა გაზაფხული და მანოს ტრავმები მოეძალა — დაიჩივლა მანუჩარ მარკოიშვილის მამამ იმ დღეს. საქმე ის გახლავთ, რომ მარკოიშვილს ტერფზე ოპერაცია აქვს გაკეთებული, რომელიც გაზაფხულობით უმიზეზდება ხოლმე და ბოლო წლებია, ამ პერიოდში მას ტრავმები სტანჯავს.

„ბკ კიევი“ გასულ კვირაში პლეი ოფში ჩაება და პირველი ბარიერიც წარმატებით გადალახა — „დნეპრს“ 2:0 (82:66, 73:67) მოუგო, თუმც ეს ქართველი უკანახაზელის გარეშე მოახერხა. როდის ჩადგება მანუჩარი მწყობრში, ჯერ უცნობია, თუმც გადამწყვეტი მატჩებისთვის კიეველებს მისიც ეიმედებათ.

რაც ბერძნულ „არისში“ გადაბარგდა, ვლადიმერ ბოისამ საუკეთესო მატჩი გასულ შაბათს ითამაშა. მისი გუნდი „ეგალეოს“ შეხვდა და იოლადაც დაამარცხა, ბოისამ კი 25 წუთში 15 ქულა, 1 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.




დაბოლოს, ტაირონ ელისზეც ვთქვათ, ვისმა „კახასოლმაც“ „გრანადას“ დამარცხებით ესპანურ პრიმერადივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა უკანახაზელმა 23 წუთი ითამაშა და 10 ქულასთან ერთად თითო ჩაჭრა-პასიც მიითვალა.

**ირაკლი პერტაია**



# ჯიხაიში ისევ დიდია

**საქართველოს** მე-18 ეროვნული ჩემპიონატი ქალ ფრენბურთელთა შორის ისევ დიდი ჯიხაიშის „ჯიკომ“ მოიგო: ჯიხაიშელებმა ეროვნული მთავარტიტული ზედიზედ მეექვსედ დაისაკუთრეს. ფინალური მატჩის სერია ორ მოგებამდე მიმდინარეობდა. პირველი შეხვედრა „თბილისმა“ კი მოიგო, მაგრამ შემდეგ ორში გამარჯვებას „ჯიკომ“ უწია. გადამწყვეტი ორთაბრძოლა საკმაოდ დაძაბული გამოდგა — „ჯიკომ“ 3:0 (25:18, 25:20, 25:23) დაამარცხა „თბილისი“.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში 6 გუნდი: დიდი ჯიხაიშის „ჯიკო“, „თბილისი“, დუშეთის „დია“, ბოლნისის „სიონი“, „ბათუმი“ და „ქუთაისი“ მონაწილეობდა.

**ზურაბ მიგრიაული**

# NBA პლეი ოფი. პირველი წრე

21 აპრილი

**აღმოსავლეთი**

**კლივლენდი 2:0 ვაშინგტონი**

**კლივლენდი 116:86 ვაშინგტონი**

კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა), ილგაუსკასი (16), შჩერბიაკი (15), გიბსონი (13)
ვაშინგტონი: სტივენსონი (12), სონგაილა (12), ბატლერი (12), მეისონი (10), ჰეივუდი (10)

**დასავლეთი**

**ჰიუსტონი 0:2 იუტა**

**ჰიუსტონი 84:90 იუტა**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი, 3 ჩაჭრა, 2 დაფარება), ჯეკსონი (18), სკოლა (14), ბრუკსი (11)
იუტა: უილიამსი (22), ოქური (16 ქულა, 16 მოხსნა), ბუზერი (13), ბრიუერი (10)

# ჯინობილი ჩრდილშიც ბრწყინავს

## სათადარიგო, რომელიც ძირითადებს სჯობია



**2007-08 რეგულარული** ჩემპიონატის პირველი ჯილდო „სან ანტონიო სფურზის" არგენტინელ მსროლელ ემანუელ ჯინობილის ერგო. ნბა-ზე მწერალ-მოსაუბრე ამერიკელმა და კანადელმა ჟურნალისტებმა ის სეზონის საუკეთესო სათადარიგო მოთამაშედ დაასახელეს. ჯინობილიმ 124 შესაძლებლიდან 123 პირველი ხმა მიიღო და გამოკითხვაში უზარმაზარი უპირატესობით აჯობა ფინიქსელ ლეანდრო ბარბოსას და დალასელ ჯეირონ ტერის.

ცოტა გასაკვირია, მაგრამ ამერიკაში ჯინობილის ბევრი „სან ანტონიოს" საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევს. არგენტინელს ტონი პარკერზე და ხშირად თვით ტიმ დანკანზე წინაც კი აყენებენ, მაგრამ გუნდის ტაქტიკური მონახაზების გამო ჯინობილი მაინც სათადარიგოდაა გამწესებული. თითქმის ყველა შეხვედრას მსროლელის პოზიციაზე ვეტერანი მაიკლ ფინლი იწყებს, ჯინობილი კი აგრძელებს და ამთავრებს (თან ძალზე ბასრადაც). ასე გადაწყვიტა ოთხგზის ჩემპიონთა მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა და არგენტინელ სუპერვარსკვლავს, რომელსაც ერთი შეხედვით ხასიათში არც სითამამე აკლია და არც თავისის გატანის უნარი, კრინტიც არ დაუძრავს პროტესტის ნიშნად.

„მანუ ის ადამიანია, რომელიც დიდი ხნის წინ მიხვდა, რა არის ჩვენს საქმეში ყალბი და რა ნამდვილი. მან პირად და გუნდურ წარმატებას შორის არჩევანი მეორეს სასარგებლოდ გააკეთა და მე ვთვლი, რომ ის ბევრად უფრო მოგებული დარჩა, ვიდრე სასტარტო ხუთეულზე გადამკვდარი ბევრი პირველხარისხოვანი მოთამაშე. ჩვენს ლიგაში ბევრი ვარსკვლავი არ მეგულება, ვისაც მწვრთნელი სათადარიგოდ გამწესებას გაუბედავს. ამ მხრივ მე ძალიან გამიმართლა" — გრეგ პოპოვიჩს იშვიათად თუ წასცდება ამდენი დადებითი თავის შეგირდებზე.

პოპმა კარგა ხნის წინ ჩასვა ბებერი და მუხლებგაცვეთილი ფინლი ხუთეულში, ჯინობილის კი წლეულს ნათამაშები 74 მატჩიდან მხოლოდ 23 დააწყებინა, მაგრამ ამან მხოლოდ არგო „სან ანტონიოს", გუნდს, რომელიც რაციონალიზმის განსახიერებაა და ჩემპიონიც ამიტომ ხდება ასე ხშირად. ფინლიც კმაყოფილია, რომელიც კარგა ხნის წინ ამოვარდა 20-ქულიანთა კლუბიდან, მაგრამ არ ჩაკარგულა პოპის გამჭრიახობის და მანუს დიდსულოვნების გამო.

ორგზის ოლსტარელი ფინლი ჯინობილიზე ამბობს — „ის ნბა-ში საუკეთესო მოთამაშეა, სკამიდან რომ ერთვება თამაშში. ნებისმიერ სხვა გუნდში ის ძირითადი იქნებოდა, მაგრამ მის მიერ საკუთარი „ეგოს" ძლევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, როგორი გუნდი გვყავს და პირველ რიგში, როგორი მოთამაშეა თავად მანუ."

ეს სეზონიც გამორჩეული გამოდგა არგენტინელისთვის. მან საშუალოდ 19,5 ქულა აგროვა და მართალია, ნბა-ს ბომბარდირთა ოცეულშიც კი ვერ შევიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ გუნდში გახდა საუკეთესო (დანკანსაც აჯობა და პარკერსაც), რომელმაც ბოლო 9 წელიწადში ოთხჯერ იჩემპიონა და ახლაც რეალური ფავორიტია. ისე, ეს მაჩვენებელი საუკეთესოა ჯინობილის ექვსწლიან კარიერაში. „სან ანტონიოს" ის დაეხმარა 2003, 05 და 07 წლებში სამი ტიტულის მოპოვებაში.

„აი, ამას დავიმახსოვრებ მე სიცოცხლის ბოლომდე, ჩემს ტიტულებს და არა იმას, 28 წუთი მიწევდა თამაში თუ 38. 10 წლის შემდეგ საჩემპიონო ბეჭდებით განვსაჯოთ, რამდენად წარმატებული გამოვიდა ჩემი თამაში ამ ლიგაში. ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მატჩის დაწყების დროს მოედანზე ვიქნები თუ სკამზე. მწვრთნელი მენდობა და მამთავრებინებს თამაშს, ეს უფრო მნიშვნელოვანი მგონია."

„საუკეთესო სათადარიგო? — ხელებს გაოცებით შლის შარშანდელი ფინალის უძვირფასესი მოთამაშე ტონი პარკერი — სათადარიგო კი არა, მთელი რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში ის ჩვენი საუკეთესო მოთამაშე იყო."

**ივანე ქოჩიაშვილი**

# მილუოკიმ ნიუ იორკი გაქურდა

**ადრევე** ამბობდნენ, ნბა-ს ყველაზე მდიდარი კლუბი „ნიუ ორკ ნიქსი" აიზია ტომასის გაგდებას და მწვრთნელად სკოტ სკაილზის დაიქირავებას აპირებსო. ძნელი სათქმელია, რას გააკეთებს მომავალში ეს ფულში ჩაძირული და საკუთარი უთავობით ცხრილშიც ჩაყვინთული ორგანიზაცია, მაგრამ სანამ ნიუიორკელი ბობოლები ბუზებს ითვლიდნენ, მათ „პროვინციელმა" მილუოკელებმა დაასწრეს და სკაილზს ხელი დასტაცეს.

44 წლის სკოტ სკაილზი კარგა ხანს თამაშობდა ნბა-ში, შემდეგ კი წარმატებული მწვრთნელიც დადგა — მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ გადღაბნილი „ჩიკაგო" მოაფერიანა და 2005-2007 წლებში ზედიზედ სამჯერ გაიყვანა პლეი ოფში.



ეს სეზონი წინებზე მეტად წარმატებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც გუნდი აიჭრა და სეზონის საწყის 25 მატჩში 16-ის წაგების შემდეგ სკაილზმა სამსახური დაკარგა. თუმც, როგორც ხედავთ, დიდხანს არ დარჩენილა უმუშევრად.

„მილუოკი ბაქსმა", რომელიც „ჩიკაგოს" დარად წლეულს უპლეიოფოდ დარჩა და დაითხოვა მწვრთნელი ლარი კრისტოვიაკი, სრული ნდობა გამოუცხადა სკაილზს და ოთხი წლით ჩააბარა საკმაოდ კარგი შემადგენლობის, მაგრამ ბოლომდე ეგრეც ვერ შეთამაშებული გუნდი. ისიც კმაყოფილი ჩანს, ამბობს — მზად ვარ, მთელი ჩემი ცოდნა მოვახმარო „ხარირმებს" და მილუოკიში გამორჩვება დავაბრუნოვო.

**ივანე ქოჩიაშვილი**



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალონსო ბარსელონაში პოდიუმს ვერ ხედავს

**საპირველ-ფორმულო** სეზონის პირველ ევროპულ ეტაპამდე ორიოდე დღელა დარჩა. ჩემპიონატში მონაწილე თერთმეტივე გუნდი მოუთმენლად და იმედებით ელის ბარსელონურ რბოლას.

ბაჰრეინული ეტაპის შემდეგ ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენება იყო. ამ სამი კვირის მანძილზე ყველა საჯინიბოში მუხლჩაუხრელად და, ფაქტობრივად, შეუსვენებლად შრომობდნენ, რათა პირველობის სტარტზე გამოჩენილი ხარვეზები აღმოეფხვრათ.

ბუნებრივია, გამონაკლისს არც „რენო" წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ ორი წლის წინ ეს გუნდი საჩემპიონოდ იყო შემართული. თანაც, შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ ფრანგებმა, სწორედ „რენოს" სახელით ორგზის ტრიუმფატორი, ესპანელი ფერნანდო ალონსო დაიბრუნეს და ალონსო კი ის კაცი არ არის, პელოტონის შუაში ყოფნით კმაყოფილი რომ იყოს.

„რენოს" იტალიელმა შეფმა ფლავიო ბრიატორემ ადრევე განაცხადა, ევროპული ეტაპებისთვის გაცილებით კონკურენტუნარიანი მანქანა გვეყოლებაო და ნათქვამი არც ახლა გადათქვა, როცა ბრძანა, დარწმუნებული ვარ, ბარსელონაში საპოდიუმედ ვიბრძოლებთო.

ალონსო თავის შეფს არ ეთანხმება: „ჩვენ ძალიან ცუდად დავიწყეთ სეზონი და ფორმულა 1-ის სამყაროში კი უაღრესად ძნელია დაკარგული პოზიციების დაბრუნება — განაცხადა ფერნანდომ და დაამატა — რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებელი ხერხით ვცდილობთ, რომ პროგრესი განვიცადოთ და მოწინავე გუნდებს მივუახლოვდეთ. გარკვეული წინსვლა მართლაც გვაქვს, მაგრამ მეეჭვება, ბარსელონაში პოდიუმზე შევდგეთ. ასე თუ მოხდება, ეს ნამდვილი სიურპრიზი იქნება. მე მოვალე ვარ, მაქსიმუმი გამოვწურო ბოლიდიდან, რათა შევინარჩუნო დიდი გამარჯვებების რწმენა. თანაც, პროგრესი მუდმივად უნდა გაგრძელდეს, რათა მომავალი სეზონისთვის მართლაც კარგი მანქანა გვქონდეს".

მომავალი სეზონისთვისო, ბრძანა ალონსომ, ანუ ის სერიოზულად ფიქრობს „რენოში" დარჩენაზე, თუმც იმის გარანტიებს კი ითხოვს, რომ მართლაც კონკურენტუნარიანი მანქანა ეყოლება: „პირველ რიგში, მინდა განვაცხადო, რომ „რენოში" დარჩენა მსურს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი შექმნის გამარჯვებების მომპოვებელ მანქანას. სიმართლე უნდა ითქვას — პროგრესი იგრძნობა, მაგრამ მე არ მაკმაყოფილებს, ოდენ კვალიფიკაციის მესამე სეგმენტში მოხვედრის პერსპექტივა. მსურს, ისეთი მანქანა მქონდეს, რომლითაც დიდი პრიზების მოგება იქნება შესაძლებელი. სადღეისოდ პელოტონში მხოლოდ რამდენიმე ასეთი გუნდია — „უილიამსი", „მაკლარენი", „BMW-ზაუბერი" და, რა თქმა უნდა, „ფერარი".

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ აგორდა ჭორები იმის თაობაზე, მომავალ სეზონში ალონსო „ფერარიში" გადავა და ფელიპე მასას ადგილს დაიკავებსო. ეს ჭორები უმალ უარყვეს როგორც „რენოს" წარმომადგენლებმა, ისე მასამაც. ახლა მათ მხარი „ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემელომაც აუბა, რომელმაც გამორიცხა ალონსოს მათ გუნდში გადასვლის შესაძლებლობა, აქაოდა, ალონსოსა და მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონის, კიმი რაიკონენის ერთ გუნდში ყოფნა ძალიან დიდი ფუფუნება იქნება და თანაც, საეჭვოა, ეს ორი პილოტი ერთმანეთს შეეწყოსო.

**კახა ლომაძე**

მძლეოსნობა

# ჩერიოტის მეოთხე ბოსტონური ვალსი


რობერტ ჩერიოტი

**შტატელების** ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ბოსტონი მრავალ ტრადიციასთან ერთად ერთ სამძლეოსნოსაც ატარებს, უკვე 112 წელია, იქ მარათონული გარბენი იმართება, რომელიც თანამედროვე ტრადიციულ მარათონებში ერთ-ერთი უძველესია. ომამდე იქ უცხოელები იშვიათად ჩადიოდნენ და ძირითადად ამერიკელები იმარჯვებდნენ. მერე, როგორც მთელი მსოფლიო, ისე ეს მარათონიც ალმოსავლეთ აფრიკელებმა დაიპყრეს. სასწაული არც წლეულს მომხდარა, ამერიკელი ვერც ახლა შევიდა პირველ ათეულში. გამარჯვება კი — რა გასაკვირია და — კენიელს დარჩა: რობერტ ჩერიოტი 2:07.46 შედეგით რეკორდს და მსგავს რაშერუმეებს ვერ შესწვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეოთხედ მოიგო ახალი ინგლისის მთავარ ქალაქში და იქ ასევე ოთჯხერ გამარჯვებულ ბილ როჯერსს გაუტოლდა. ესეც ხომ რეკორდია?

მარათონელის კვალობაზე საკმაოდ მაღალი, ბოსტონური ქვაფენილიდან 1,86 მეტრზე ატყორცნილი ჩერიოტი სხვა დიდრონ მარათონებზე იშვიათად ჩნდება და შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება მოსტონში დარბის. ალბათ ამიტომაც, კენიელი სელექტორები მას იგნორირების უკეთებენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თუ ოლიმპიადისთვის გუნდის შერჩევის დროს. რომ გაიმარჯვა, ცხადია, კმაყოფილი იყო, მაგრამ ჩერიოტს მაინც პესიმიზმმა გადაუარა, პეკინის ოლიმპიადაზე რომ დაეკითხნენ, თქვა: „შარშან ჩვენი ფედერაცია კი შემპირდა, ერთ მარათონელს 2008 წლის ბოსტონური გარბენიდან ავარჩევთო, მაგრამ რა ვიცი, რა ვიცი...“

კენიელი სპორტული ჩინოვნიკები, ან ერთი ჩინოვნიკი მაინც უეჭველად დაესწრებაოდა ამ გარბენს, სადაც რობერტ ჩერიოტს არაკაცი არ დაუეჭვებია თავის გამარჯვებასა და მაღალ კლასში და მაინც, როგორც ჩანს, მისი შედეგი, 2 საათი და 8 წუთი არ უწევს მაინცდამაინც კარგ რეკომენდაციას. ისე, მას ბოსტონის ქუჩებში რომ ვერავინ შეედრება, აგერ მერამდენედ გამოჩნდა.

ჩერიოტს მაინცდამაინც არ უსარგებლია პეისმეიკერების „მომსახურეობით“, თავად იწევდა წინ და პეისმეიკერის მოვალეობასაც სწევდა და მოწინავე გუნდსაც ამხნევებდა. ის სიმაღლითაც, სირბილის მანერითაც და წითელი ტანსაცმლითაც კი გამორჩეოდა.

დისტანციას ნახევარს მოწინავე ჯგუფმა ექვსი მორბენლით უწია და ბოსტონის მარათონისთვის სარეკორდო დროც კი დაფიქსირდა 21,1 კილომეტრი 1 საათში, 3 წუთსა და 7 წამში. მერე კი ორი მალევე ჩამოშორდა გამარჯვების მსურველებს და ჩერიოტმაც — ალბათ იმ ფიქრში, რომ ვინმე სხვამ არ დამასწროსო — უკვე 25 კილომეტრის გარბენის შემდეგ სცადა სხვათაგან მოწყვეტა. სცადა და გამოუვიდა კიდეც, ვერც ორი მაროკოელი აბდერაჰიმ ბურამდანე და ხალიდ ელ ბუმლილი მიჰყვნენ და ვერც ეთიოპიელი კარიმე ადილო. ჩერიოტი გახურებულ თავზე მალიმალ ივლებდა გზის პირებზე გამწკრივებული მაყურებლებისგან მოწოდებულ წყალს და ყოველ კილომეტრზე რამდენიმე წამს უგებდა მდევრებს. საბოლოო ოდ, როგორც გითხართ,. 2:07.46 შედეგით დაასრულა სირბილი და ბურამდანეს თითქმის წუთნახევრით აჯობა, ელ ბუმლილს კი სამი წუთითაც კი შეასწრო ფინიშზე.

ქალთა გარბენში კი გამარჯვება ეთიოპიელ დარე თიუნს დარჩა, ვინც 2:25.25 შედეგით იმარჯვა და სულ რალაც 2 წამით აჯობა რუს ალევტინა ბიკტიმაროვას.

**ივანე ძოზიაშვილი**

# კენიელს ვერც ბრეშაში დაეწივნენ



ბენჯამინ კიპტოო

**ბრეშას** მარათონი გაქანებით აბა, სად მიუვა ლონდონ-პარიზისას, ან ბოსტონ-ნიუ იორკისას, მაგრამ ის ფაქტი, რომ იტალიის ასეთი მომცრო ქალაქი ასე თუ ისე ატარებს მარათონს, თავისთავად სიამაყით ალავსებს ქალაქის ყველა მცხოვრებს, მერით დაწყებული მარშრუტის კიდეზე მცხოვრებით დამთავრებული.

ბრეშამ უკვე მეშვიდედ ჩაატარა იააფის დონის დამაკმაყოფილებელი მარათონი და, კინალამ ადგილობრივ რეკორდსაც გამოჰკრა ხელი. ახალგაზრდა კენიელი ბენჯამინ კიპტოო სულ ორი წელია, მარათონებზე გამოდის და მისი სახელი თანამემამულეთა გარდა ცოტას თუ სმენია, მაგრამ აი, მან საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და თავისი პირველი გამარჯვება ჩაიწერა. 42,195 კილომეტრი კიპტოომ 2 სათში, 9 წუთსა და 23 წამში ჩაატია და მთელი სამი წუთი მოაკლო შარშან შვეიცარიულ ლოზანაში დამყარებულ პირად რეკორდს, ხოლო 2003 წელს მეტიუ სიგეის მიერ დამყარებულ ბრეშას რეკორდამდე სულ რალაც 6 წამი დააკლდა.

კაცთა შორის მეორე ადგილიც კენიელს, ნოა კიპლაგატ სერემს ხვდა (2:11.49), ქალთა შორის კი 2:34.47 შედეგით იტალიელმა ორნელა ფერარამ იპირველა.

**ივანე ძოზიაშვილი**

ჭადრაკი

## ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

I ტური

| | | |
|---|---|---|
| ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) | 0:1 | გატა კამსკი (აშშ) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ვან იუე (ჩინეთი) |
| ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 0:1 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |

# ადამსი საბავშვო ბაღში


მაიკლ ადამსი

**მასპინძელთა** მთავარიმედმა შაჰრიარ მამედიაროვმა პირველმა დაასრულა პარტია და გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა. არადა, თამაში წინ იქადნებოდა, წარუმატებლობები დავივიწყე და ახლა ჩემს კედლებში ყველას ბდღვირს ვადენო. მისდა სამწუხაროდ, ბაქიაობა ბაქიაობად დარჩა და პეტერ სვიდლერს 25-ე სვლაზე დაუზავდა.

მამედიაროვმა. ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია, ოთხი პაიკი ცენტრში, მეოთხე ზოლზე განალაგა და უკან მხედრები მიუშვა. სვიდლერმა იერიშებს მიმართა, მე-8 სვლაზე ლაზიერი გაუცვალა მეტოქეს და მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. რუსმა ქიშებით გასაქანი არ მისცა თეთრ ხელმწიფეს და ქულა გააყოფინა.

გრან პრის ყველაზე უხუცესმა და გამოცდილმა მოჭადრაკემ მაიკლ ადამსმა მეორე მასპინძელ თეიმურ რაჯაბოვს გაუყო ქულა. 36 წლის ინგლისელი მოჭადრაკე, რომელსაც ადრე ადამიანი-ობობა შეარქვეს, ტურნირზე ყველაზე უფროსია და ახლა ამ თიკუნით მოიხსენიებენ. პარტია კი ალბიონელის მცირე უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ 39-ე სვლაზე დასრულდა.

შეჯიბრის გამარჯვებული 30 ათასი ევროთი დასაჩუქრდება და აქტივში 140 ქულასაც დაიწერს. ექვსივე ტურნირის საუკეთესო კი ბონუსად 75 ათასს მიიღებს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს.

ბაქოში ქართველი დიდოსტატი და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილიც იმყოფება, იგი არბიტრს დაეხმარება და ყაიმების გადაწყვეტის საკითხში საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

**ლუშა გეგეჭკორი**

სნუკერი

## მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი

### პირველი წრე

სტივ ჰენდრი (შოტლანდია) — მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია) 10:9; სტიუარტ ბინქემი (ინგლისი) — სტივ დევისი (ინგლისი) 10:8; მარკ კინგი (ინგლისი) — მარკ სელბი (ინგლისი) 10:8; მარკ უილიამსი (უელსი) — მარკ დევისი (ინგლისი) 10:3


ფავორიტად მიჩნეულ მარკ სელბის საჩემპიონო თასთან მხოლოდ სურათის გადაღება შერჩა — პირველივე წრეში მარკ კინგთან დამარცხდა

# ჯოკოვიჩმა მეგობარი კორტს მიღმა იცის



ჰაცები
მასტერსის სერია
მონტე კარლო. მონაკო. თიხა
საპრიზო 2 370 000 ევრო

**პირველი წრე**

**იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — პოლ-ანრი მატიო (9, საფრანგეთი) 6:4 2:6 6:3; **სემ ქუერეი** (აშშ) — კარლოს მოია (10, ესპანეთი) 6:3 1:6 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (13, ესპანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:7 6:1 6:1; **ენდი მიურეი** (14, ბრიტანეთი) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (16, გერმანია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 6:3; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:1 3:0 უარი; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:2 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 7:6 6:7 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:1 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) 6:4 6:7 6:3; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:5 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:6 6:1; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:0 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2 6:2; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 7:5 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3 6:2; **ტომი რობრედო** (12, ესპანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:4 7:5; **ივო კარლოვიჩი** (15, ხორვატია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 4:6 6:4 4:1 (უარი); **ხუან მონაკო** (11, არგენტინა) — ჰუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:0 7:5; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:1 6:1; **ანდრეა სეპი** (იტალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ჟან-რენო ლისნარი (მონაკო) 6:4 6:4

**მეორე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:3 6:3; **ენდი მიურეი** (14, ბრიტანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:4 6:1

**სათიხნარო** სეზონი სულ უფრო და უფრო ხურდება — აგერ ამ კვირაში პირველი საგრუნტო მასტერსიც დაიწყო, რომელიც ტრადიციისამებრ მონტე კარლოში იმართება. ამდაგვარ ტურნირებს, როგორც წესი, არც ერთი ბობოლა არ ტოვებს და წლეულსაც ასე მოხდა, როცა მონაკოს სათავადოს მთელი საჩოგბურთო ელიტა ეწვია. გამონაკლისს ისევ და ისევ ამერიკელები წარმოადგენენ, რომლებიც მაქსიმალურად არიდებენ თავს საძულველ თიხნარზე ჩოგნაობას და „როლან გაროსამდე" იშვიათად იწუხებენ ხოლმე თავს.

უკვე დამკვიდრებული წესისამებრ, ტურნირზე პირველ რვა ნომრად განთესილი მეჩოგენეები მხოლოდ მეორე წრიდან გადიან კორტზე. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მონტე კარლოში საინტერესო არაფერი მომხდარა — ბევრი დაძაბული ჯახიც ვნახეთ და ერთი-ორი მოულოდნელობის მომსწრენიც გავხდით.

მოდით, სწორედ მოულოდნელობებით დავიწყოთ — მონაკოდან დაგეგმილზე ადრე მოუწევთ აბარგება პოლ-ანრი მატიოსა და კარლოს მოიას. ფრანგი მეცხრე ნომრად იყო განთესილი და ამიტომ იანკო ტიპსარევიჩთან შეხვედრაში ფავორიტადაც მოიაზრებოდა. მაგრამ ეს სერბი წლეულს საკმაოდ კარგ ფორმაშია, არც ავტორიტეტებს უფრთხის და ბევრის გამწარებაც შეუძლია. ამჯერად ბალკანელმა მატიოს გამოუყვანა წირვა, თუმცა საამისოდ სამი სეტი ჯახირი კი დასჭირდა. კიდევ უფრო ნაკლებ სავარაუდო იყო გამოცდილი მოიას მარცხი — ძირითადად იმიტომ, რომ პირინეელს სემ ქუერეისთან უწევდა თამაში. ხოლო, როგორც ზემოთ ითქვა, ამერიკელები თიხნარზე ღმერთს არ უქნია და თითქოს ქუერეიც უშანსოდ იყო, მაგრამ...

სამაგიეროდ, ესპანელები გაახარა ტომი რობრედომ, რომელმაც სტანისლას ვავრინკას ორ სეტში მოუთავა საქმე და ახლა მესამე წრის საგზურისთვის რობინ სოდერლინგს დაეჯახება. იმარჯვა კიდევ ერთმა პირინეელმა ნიკოლას ალმაგრომაც, რომელმაც საკმაოდ ადვილად მოინელა, ორიოდ დღის წინ ფაქტობრივად მოგებული ვალენსიური ტიტული ხელიდან რომ გამოაცალეს და მასპინძელი ჟანრენო ლისნარი ადვილად მიჩოგნა.

სეზონში მეოთხე მატჩი მოიგო მარატ საფინმა — რუს გოლიათს „პროგრესი" შეენიშნება, რადგანაც აგერ ზედიზედ მეორე ტურნირია, პირველი წრის გადალახვას ახერხებს. არადა, აქამდე თითო შეხვედრის მოგებაც კი უჭირდა. მარატმა ქსავიე მალისი გააკრა ბეჭებზე და ამასთან საკმაოდ დამაჯერებლადაც ითამაშა, რადგანაც ოთხიდან ოთხივე ბრეიკ პოინტი გამოიყენა, თავისი მოწოდება კი ერთხელაც არ დაუთმია. თუმცა საეჭვოა, საფინი ამაზე შორს გაფრინდეს, რადგანაც მეორე წრეში დავიდ ფერერს ხვდება — ამ პირინეელს კი რუსი მხოლოდ სასწაულის წყალობით თუ მოერევა, თორემ ისე განწირული.

გუშინ მეორე წრეც გაიხსნა და თან როგორ — ბალკანური დერბით ნოვაკ ჯოკოვიჩსა და ივან ლიუბიჩიჩს შორის. თუმცა მოსალოდნელი ჯახი არ შედგა, რადგანაც ახალგაზრდა სერბმა ძალიან ადვილად მიჩოგნა გამოცდილი ხორვატი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის თითქმის სულ ერთია, როგორ საფარზე უწევს თამაში — ნებისმიერზე თავის შემტევ ჩოგბურთს ქადაგებს და ყოველთვის ფავორიტთა მარაქაში უნდა მოვიაზროთ.

ნამატჩევს ნოვაკი, რომელიც ლიუბიჩიჩთან ერთად ხშირად ვარჯიშობს, ამბობდა, მეგობრის წინააღმდეგ თამაში იოლი სულაც არ არისო:

„მეგობრობის ფაქტორის გათვალისწინებით, მოგებაზე კონცენტრაცია გაცილებით ძნელია, მაგრამ მე ნამდვილი პროფესიონალიზმი გამოვავლინე. ივანს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კორტზე ყველაფერი უნდა დაივიწყო, რადგანაც აქ ყველა გასამარჯვებლად იბრძვის".

მესამე წრეში გავიდა ენდი მიურეიც, რომელიც ჯერჯერობით საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ახალგაზრდა სქოთმა ჯერ ფელიაჩონო ლოპესი არ გაახარა, გუშინ კი კიდევ უფრო ადვილად გაუმკლავდა ფილიპო ვოლანდრის. თუმცა ენდიბიჭს ძალები სერიოზული გამოცდა ახლა ელის, რადგანაც ჯოკოვიჩთან მოუწევს დატაკება.

**ბახა ლომაშვილი**

# უზბეკეთში შაფათავალა დარჩა




**უზბეკური** ნამანგანის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის განაცხადშიც სამი ქართველი იყო, მაგრამ მეორე წრეს ოდენ ერთმა, სოფო შაფათავამ უწია — მარიამ კუპრეიშვილი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა, ხოლო ძირითად ბადეში მყოფმა ოქსანა კალაშნიკოვამ სამსეტიან ბრძოლაში 4:6 6:2 3:6 წააგო 22 წლის რუს ვასილისა დავიდოვასთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში 552-ე ადგილი უკავია.

შაფათავა ნამანგანში მეოთხე ნომრადაა განთესილი და ჯერჯერობით, ფავორიტის შესაფერისად ირჯება. პირველ წრეში სოფომ 6:2 6:1 გადაუარა 17 წლისა და კლასიფიკაციაში 732-ე პოზიციაზე მყოფ ჩინელ შაო ჟუ ლუს და ახლა კვალიფიკაციიდან წამოსულ თინეიჯერ უკრაინელ ანასტასია ვასილიევას დაუპირისპირდება, ვისაც რეიტინგში 748-ე საფეხური უპყრია და ვინაც პირველ წრეში ინდოელი პრერანამუთრი აპინენი 6:0 6:0 გაანადგურა.



# პლეი ოფი პირველი წრე

21 აპრილი

**ფილადელფია 2:4 ვაშინგტონი**
*1:0 1:2 0:2*
*სერიაში ანგარიშია 3:3*

1:0 რიჩარდსი (4, უმრ. ტიმონენი, ლუპული), 2:0 ბრიარი (22, უმრ. პროსპალი, ამბერგერი), 2:1 ბექსტრომი (30, სიომინი, ლეიჩი), 2:2 სიომინი (39, ერსკინი), 2:3 ოვეჩკინი (47, კოზლოვი), 2:4 ოვეჩკინი (51, უმრ. ლეიჩი, ფიოდოროვი)

**მონრეალი 5:0 ბოსტონი**
*1:0 2:0 2:0*
*სერია მონრეალმა მოიგო 4:3*

1:0 კომსარეკი (4, კოვალიოვი, კოივუ), 2:0 შტრაიტი (31, ლაპიერი, კოვალიოვი), 3:0 ა. კოსტიცინი (36, ს. კოსტიცინი, ჰამრლიკი), 4:0 ა. კოსტიცინი (58, უმრ. ბრიზბუა), 5:0 ს. კოსტიცინი (60, პლეკანეცი, ა. კოსტიცინი)

# ბოსტონური ჟულიენი მონრეალში ჩავარდა

**„მონრეალმა"** სერიის მეშვიდე მატჩში „ბოსტონისგან" ქვა ქვაზე არ დატოვა და პლეი ოფის მეორე წრეს დაგეგმილზე უფრო მეტი წვალებით, მაგრამ მაინც უწია. ამ წყვილის ფავორიტად თავიდანვე კანადური გუნდი ითვლებოდა — ჯერ ერთი, რომ თავის ისტორიაში „დათვებთან" გამართული 30 სათასო სერიიდან 23 ჰქონდა მოგებული, მეორეც, წლევანდელ რეგულარულ სეზონში „კანადიენსმა" ყველა შეხვედრაში აჯობა „ბოსტონს". თავად ეს სერიაც ნჰლ-ის ყველაზე ტიტულიანი გუნდის აშკარა უპირატესობით დაიწყო და „მონრეალიც" მალე 3:1 დაწინაურდა. თითქოს აქ ყველაფერი უნდა მორჩენილიყო, მაგრამ...

ბევრს გადაავიწყდა, რომ „ბოსტონს" კლოდ ჟულიენი თავკაცობს, რომლისთვისაც სერიის 1:3-დან ამოქაჩვა არახალი ამბავია — საინტერესო კი ის არის, რომ ჟულიენმა ასეთი რამ ოთხი წლის წინ „კანადიენის" მწვრთნელის რანგში გააკეთა და თანაც თავისი ამჟამინდელი გუნდის, „ბოსტონის" წინააღმდეგ. თუმცა ამჯერად ლამაზი ზღაპარი აღარ განმეორდა და ჟულიენმა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

გუშინდელ შეხვედრაში „მონრეალმა" თავისი საფირმო სწრაფი ჰოკეით პირწმინდად დაჩაგრა მომხვდური „დათვები" და ხუთი უპასუხო შაიბით გაისტუმრა მშობლიური „ბელ ცენტრიდან". ბრწყინვალე იყო ახალგაზრდა კერი პრაისი, რომელმაც რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი არ გამოაყენებინა სტუმრებს და ამით წინა შეხვედრებში დაშვებული შეცდომები გამოისყიდა — პრაისისთვის ეს მეორე პლეიფური შატაუტი გახლდათ.

შეტევაში კი თავი ჯერ მცველებმა გამოიჩინეს — მაიკ კომისარეკმა და შვეიცარიელმა მარკ შტრაიტმა ისე ითამაშეს, ნებისმიერ ბომბარდირს შეშურდებოდა. ამის შემდეგ ბელარუსი ძმების კოსტიცინების დრო დადგა და ჯერ უფროსმა ანდრეიმ შეასრულა დუბლი, შემდეგ კი უმცროსმა სერგეიმ გამოიჩინა თავი.

„ჩვენ ძალიან სტაბილური გუნდი ვართ. წაგებული შეხვედრების შემდეგ საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ ხოლმე და ამიტომ იყო, წლეულს ზედიზედ სამ მატჩში ერთხელაც რომ არ დავმარცხებულვართ და ამ შეხვედრის წინ ნაკლებად ვნერვიულობდი" — ამაყად განაცხადა ნამატჩევს „მონრეალის" ახალგაზრდა დამრიგებელმა გი კარბონემ.

დღის მეორე შეხვედრაში კი „ვაშინგტონმა" გასვლაზე მოუგო „ფილადელფიას" და ამით „ბოსტონის" გმირობა გაიმეორა, რადგანაც სერიაში ანგარიში გააყაიმა (არადა, 1:3-ს აგებდა). თუმცა „დედაქალაქელები" „დათვებივით" მეშვიდე შეხვედრის ჩაგდებას სულაც არ გეგმავენ და „მფრინავებს" ნამდვილი ჯოჯოხეთის მოწყობას ჰპირდებიან.

გუშინდელი მატჩის გმირად კი აწ მიწურული რეგულარული სეზონის საუკეთესო ჰოკეისტი ალექსანდრ ოვეჩკინი იქცა — ამ შეხვედრამდე „ფილადელფიამ" თითქმის მთლიანად შეძლო რუსი ვარსკვლავის თამაშიდან გათიშვა, მაგრამ ოვეჩკინმა გუშინ მესამე პერიოდში გაილაღა და ჯერ ვიქტორ კოზლოვის სუპერპასი შეირგო, შემდეგ კი ჩვეულ სტილში გაისროლა ათიოდ მეტრიდან და პირთამდე გავსებული ფილადელფიური ტრიბუნები, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში, მას შაიბაზე ყოველი შეხებისთანავე უსტვენდნენ, უცბად გააჩუმა.

**ბახა ლომაშვილი**



ალექსანდრ ოვეჩკინმა დუბლი შეასრულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი. ტუხელ

**ლივერპული 1:1 ჩელსი**

1:0 კუიტი (43), 1:1 რიისე (90ს.კ.)
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, ფ. აურელიო (რიისე 62), მასკერანო, ხაბი ალონსო, კუიტი, ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 76), ფ. ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი (ანელკა 86), ლამპარდი, ჯ. კოული (კალუ 63), მალუდა, დროგბა
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ტერი (90)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
45 000 მაყურებელი



ბედი მაქსო, ავრაამ გრანტმა უნდა თქვას

# ბედისწერა: ხელშეუხებელი აურელიო რიისემ შეცვალა...

**62-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ** ლივერპულის მცველს ფაბიო აურელიოს არავინ შეხებია, მაგრამ მან საკმაოდ სერიზული ტრავმა მიიღო და რაფაელ ბენიტესმა იგი იონ არნე რიისეთი შეცვალა. იმ მომენტში ვინ იფიქრებდა, რომ ნორვეგიელი მცველი მეხუთე წამატებულ წუთზე ბურთსვარდნაში თავურით საკუთარ კარში ჩაჭრიდა და შეხვედრის ანტიგმირად იქცეოდა...

თამაში „ჩელსიმ" უკეთ დაიწყო და პირველი 30-35 წუთი ლონდონელები გადაჭედილ „ენფილდზე" თავს სტუმრებად სულაც არ გრძნობდნენ. მხოლოდ ჯო კოულს ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ...

„ლივერპულმა" ნელ-ნელა გამოიღვიძა და მწვავედაც შეუტია. ერთ ეპიზოდში, მთელი მატჩის მანძილზე ჩინებულად მოთამაშე მერსისაიდელთა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა კარგად უპასა ფერნანდო ტორესს და პეტრ ჩეხთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩენილმა ესპანელმა ფორვარდმა დარტყმაც მოახერხა, მაგრამ ჩეხმა თავისი გუნდი იხსნა.

ტაიმის მიწურულს კი მასპინძლებმა მაინც შეძლეს წინ გასვლა — ფრენკ ლამპარდმა „ჩელსის" საჯარიმოსთან ბურთი დაკარგა, რომელიც ხავიერ მასკერანოს მიუვიდა. არგენტინელი აშკარად სხვა რაღაცას აპირებდა, მაგრამ დირკ კუიტისთვის ჩინებული პასი გამოუვიდა, ლონდონელთა მცველები დაიბნენ, კუიტმა კი ჩეხს დაასწრო და ფეხებშუა გაუტარა ბურთი. ისე, კუიტი მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

მეორე ნახევარი „ლივერპულმა" ყოჩაღად დაიწყო, დებიუტში ერთი-ორი მწვავე მომენტიც შექმნა, მერე კი კვლავ კარგად ჩაკეტა თამაში. „ჩელსი" ცდილობდა, მაგრამ ლონდონელებს თითქმის არაფერი გამოსდიოდათ.

ბოლო 20 წუთში კი თამაში უფრო გაიხსნა და სახიფათო ეპიზოდებიც ვნახეთ. სტუმართაგან მომენტები ლამპარდსა და ფლორენ მალუდას ჰქონდათ. მასპინძელთაგან კი ორჯერ ჯერარდს შეეძლო გატანა, აქედან ერთხელ ჩეხმა საოცრად აუღო ბურთი. ხოლო უკვე წამატებულ წუთებზე, ტორესის დარტყმისას ჩეხმა კიდევ ერთხელ იხსნა „ჩელსი".

თამაშის მთლიანი მსვლელობიდან გამომდინარე, თითქოს ყველაფერი ლოგიკური დასასრულისკენ მიდიოდა, „ლივერპულს" დამსახურებულად უნდა მოეგო და მიუხედავად მინიმალური უპირატესობისა, მაინც ფავორიტის რანგში უნდა ჩასულიყო „სტემფორდ ბრიჯზე", მაგრამ რიისემ ლონდონელებს გოლი აჩუქა და ყველაფერი რადიკალურად შეცვალა.

მატჩისთვის წამატებული ოთხი წუთი უკვე ამოწურულიც კი გახლდათ, როცა სალომონ კალუმ ნიკოლა ანელკას მისამართით ჩააწოდა, ნორვეგიელი მცველი კი საკუთარი კარიდან დაახლოებით 5 მეტრში რაღაც უხერხულად ჩაუწვა ბურთს და ისეთი თავური გამოუვიდა, რომ ხოსე რეინას წინასწარაც რომ სცოდნოდა რაც მოხდებოდა, მაინც ძალიან გაუჭირდებოდა ამ ბურთის მოგერიება.

დაბოლოს, ეს დაძაბული მატჩი სულაც არ გახლდათ ადვილი სამსაჯო, მაგრამ ავსტრიელი კონრად პლაუცის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ფაქტობრივად ერთი შეცდომაც არ დაუშვია და თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა. სხვათა შორის, პლაუცს მხოლოდ ერთხელ მოუხდა ყვითელი ბარათის აფრიალება, ისიც 93-ე წუთზე, როცა ჯონ ტერიმ იუხეშა, ლივერპულელთათვის სწრაფი კონტრშეტევა რომ ჩაეშალა.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ**



დირკ კუიტის ეს გოლი „ლივერპულის" გამარჯვებისად ვერ იქცა

### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
ვულვზი 3:0 კარდიფი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
როვერსი 0:1 სუინდონი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
ჰერეფორდი 2:0 რეძსემი

კონფერენსლიგა
XLV ტური
ალდერშოტი 0:0 ვეიმუთი
კემბრიჯი 2:0 ტორკი
ძროული 0:4 ჰალიფაქსი
დროილსდენი 1:1 უოქინგი
ექსეტერი 4:1 სტაფორდი
ფორესტ გრინი 2:2 ებსფლიტი
გრეისი 1:1 სალისბერი
კიდერმინსტერი 4:1 ბარტონი
ოქსფორდი 1:0 რაშდენი
სტივენეიჯი 1:2 ნორსვიჩი
იორკი 4:1 ფერსლი

### სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ტრნავა 3:1 კოშიცე (0:0)

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ლიუბეკი 3:1 დიუსელდორფი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბასტია 1:0 ამიენი
დიჟონი 2:2 ტრუა
ლე ავრი 0:0 სედანი

### ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
იგლსი 1:1 დენ ჰააგი
ოსი 2:2 ჰელმონდი

### შვედეთი

სუპერეტა. II ტური
სირიუსი 1:1 მიალბი
ვასბი 2:1 ფალკენბერგი

### პოლონეთი

თასის ნახევარფინალი. I მატჩი
ლეგია 0:0 ზაგლებე

### უკრაინა

ვიშა ლიგა
გადადებული მატჩი
ზარია 1:4 შახტარი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge